პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 15 ივნისი, 1945 წ. № 117 (7332). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

დეპუტატი და ამომრჩევლები. მოწინავე. (1-ლი გვერდი)
ბრძანებულებები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა. (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა. (1-ლი გვერდი).
გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონის მმართველობის სამხედრო ადმინისტრაციის ბრძანებანი. (1-ლი გვერდი).
გიორგი ქუჩიშვილი — დედა და შვილი. ლექს. (მე-2 გვერდი).
ხირსა—მევენახეობის გიგანტი. (მე-2 გვერდი).
დეპუტატი ხალხის მსახურია. (მე-3 გვერდი).
აგრონომის რჩევა-დარიგება — როგორ გვრიფოთ ჩაის ფოთოლი (მე-3 გვერდი).
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში. (მე-4 გვერდი).
ცნობა — აბანოს ორდენი (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები, დეპეშები. (1-ლი, მე-2 და მე-4 გვერდი).

დეპუტატი და ამომრჩევლები

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღიდან განვლილმა პერიოდმა ერთხელ კიდევ მკაფიოდ გვიჩვენა სტალინური კონსტიტუციის სიდიადე, საბჭოთა დემოკრატიზმის ცხოველმყოფელი ძალა.

დიდი სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე ჩატარებული არჩევნები იყო საბჭოთა დემოკრატიზმის ტრიუმფი. ხალხმა საყოველთაო არჩევნების საფუძველზე საბჭოებში წარგზავნა ლენინ-სტალინის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული, შემოქმედებითი ინიციატივის ადამიანები, რომლებსაც უსაზღვროდ უყვართ სოციალისტური სამშობლო და რომლებიც დაუღალავად ზრუნავენ მშრომელთა ინტერესებისათვის.

ხალხის მიერ წარგზავნილმა დეპუტატებმა დიდი მოშაობა გასწიეს. ისინი წარმატებით ასრულებდნენ და ასრულებენ ამხანაგ სტალინის მითითებას:

„დეპუტატმა უნდა იცოდეს, რომ იგი არის ხალხის მსახური, მის მიერ წარგზავნილი უმაღლეს საბჭოში და იგი უნდა გაჰყვეს იმ ხაზს, რომელზეც მას მიცემული აქვს განაწესი ხალხის მიერ“.

ეს არის თვითეული დეპუტატის მოქმედების პროგრამა, მთელი მათი მოღვაწეობის განმსაზღვრელი.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის პერიოდში ბევრი დეპუტატი იარაღით ხელში ფრონტზე გმირულად იბრძოდა გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ, მეომრებს უჩვენებდა სამშობლოსადმი, ლენინ-სტალინის პარტიისადმი ერთგულებისა და თავდადების მაგალითებს.

ზურგში დარჩენილი დეპუტატების დიდი უმრავლესობა წარმატებით სწყვეტდა ომის დროის ამოცანებს, მოწინავე იყო სამეურნეო და საზოგადოებრივ მუშაობაში, ზრუნავდა და ზრუნავს ფრონტელთა ოჯახებისათვის, ომის ინვალიდთა შრომითი მოწყობისათვის.

დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ დღის წესრიგში დადგა ახალი ამოცანები: ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ამოცანა: სწრაფად მოვუშუშოთ ჩვენს საყვარელ სამშობლოს ომით მიყენებული ჭრილობები, მივაღწიოთ სამეურნეო და კულტურული განვითარების ახალ აღმავლობას.

ახალი ვითარება დეპუტატის წინაშე აყენებს მოქმედების ახლებურად გარდაქმნის აუცილებლობას. დეპუტატი ღრმად უნდა იცნობდეს თავისი სამოქმედო რაიონის ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებას, მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო საკითხებს. მან უნდა გამოავლინოს და გაითვალისწინოს ის რესურსები და შესაძლებლობანი, რომელთა გამოყენება ხელს შეუწყობდა ახალ მძლავრ, სოციალისტურ აღმავლობას, მიიღოს ყველა საჭირო ზომა ამ შესაძლებლობათა სინამდვილედ გადაქცევისათვის. ეს მოითხოვს ცოდნას ადამიანებისას, რომელთაც შესწევთ უნარი წარმატებით გადასჭრან ახალი ამოცანები.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე ჩვენმა გამარჯვებამ ახალი შესაძლებლობანი გადაშალა სოციალისტური სამშობლოს ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობისათვის. ახლა დეპუტატის საქმიანობაში ქალაქების, რაიონული ცენტრების, დაბებისა და სოფლების კეთილმოწყობისათვის ზრუნვამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უნდა დაიჭიროს. თავისი ქალაქის, თავისი რაიონის, თავისი სოფლისადმი სიყვარულის გრძნობა ამოძრავებს მასებს—შეიტანონ შრომითი წვლილი მისი მეურნეობის აღმავლობაში, მიიღონ მონაწილეობა კეთილმოწყობის საქმეში. დეპუტატი სათავეში უნდა ჩაუდგეს მასების პატრიოტულ მოძრაობას, მისცეს მას სწორი მიმართულება.

აი მუშაობს, მაგალითად, მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი ბ. კვიცარიძე. ქალაქის კეთილმოწყობისათვის იგი მუდამ ზრუნავს. მან არა მარტო დააყენა აღმასკომის წინაშე ლუნაჩარსკის ქუჩის შეკეთების საკითხი, არამედ პრაქტიკულად ჩაუდგა ამ საქმეს სათავეში, დარაზმა თავისი ამომრჩევლები და მიაღწია დასახულ მიზანს.

დეპუტატი ყოველთვის მჭიდრო კავშირში უნდა იყოს თავის ამომრჩევლებთან. ასევე „ამომრჩეველთა მოვალეობა და უფლება მდგომარეობს იმაში, რომ მუდამ კონტროლს ქვეშ იყოლიონ დეპუტატები და, რომ ისინი ჩააგონებდნენ მათ — არავითარ შემთხვევაში არ დაეშვნენ პოლიტიკური ობივატელების დონემდე, რომ ისინი, ამომრჩევლები, ჩააგონებდნენ თავის დეპუტატებს — იყვნენ ისეთნი, როგორიც იყო დიდი ლენინი“. (სტალინი).

საჭიროა რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა გააძლიერონ მასობრივი მუშაობა, მოაწყონ დეპუტატების შეხვედრა თავიანთ ამომრჩევლებთან, ხელი შეუწყონ მათ შორის მჭიდრო კავშირის დამყარებას. ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა უნდა მოაწყონ დეპუტატების ანგარიშგება ამომრჩევლების წინაშე. ეს იქნებოდა სტიმულის მიცემა შემდგომი მუშაობისათვის. ეჭვს გარეშეა, რომ ადგილობრივი საბჭოების წინაშე მდგომი ახალი ამოცანების გადაჭრა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ გაშლიან აღმასკომები ორგანიზაციულ და მასობრივ მუშაობას, როგორ შეუწყობენ ხელს დეპუტატისა და ამომრჩევლების მჭიდრო კავშირს.

ომმა გამოიწვია არჩევნების დროებით გადადება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დეპუტატები განთავისუფლდნენ იმ მოვალეობისაგან, რასაც მათ ამომრჩევლები უყენებენ. დეპუტატებს წინანდებურად აკისრიათ მაღალი ვალდებულებანი. ისინი აღჭურვილნი არიან სახალხო ნდობით და, მაშასადამე, საჭიროა, რომ მათ განაგრძონ თავიანთი აქტიური მოღვაწეობა.

ამომრჩევლები ავალებენ დეპუტატებს იმუშაონ სანიმუშოდ, მჭიდროდ დაუკავშირდნენ მასებს, სათავეში ჩაუდგნენ მათს ინიციატივას და ამრავლონ წარმატებანი ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
გაზეთ „პრავდის“ რედაქტორ პ. ნ. პოსპელოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დიდი სამამულო ომის პერიოდში პრესის დარგში წარმატებითი მუშაობისათვის გაზეთ „პრავდის“ რედაქტორი პეტრე ნიკოლოზის-ძე **პოსპელოვი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი, 1945 წ. 13 ივნისი.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
ახალგაზრდობის საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის წლებში სამშობლოს წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის და სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით საბჭოთა ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში გაწეული დიდი მუშაობისათვის, — დაჯილდოებულ იქნას ახალგაზრდობის საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირი **ლენინის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1945 წლის 14 ივნისი.

ბრძანებულება
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების გადადების შესახებ

გადაიდოს 1946 წლის ივნისამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნები და ამავე ვადით განგრძობილ იქნას საქართველოს სსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. სტურუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

1945 წლის 13 ივნისი. ქ. თბილისი.

გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონის მმართველობის სამხედრო ადმინისტრაციის ბრძანებანი

ბერლინი, 11 ივნისი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა ბრძანებანი გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონის მმართველობის სამხედრო ადმინისტრაციის ორგანიზაციის შესახებ, აგრეთვე ყველა ანტიფაშისტური პარტიის შექმნისა და მოღვაწეობის და თავისუფალ პროფკავშირებში გაერთიანების ნების დართვის შესახებ.

გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონის მმართველობის სამხედრო ადმინისტრაციის ორგანიზაციის შესახებ 9 ივნისს გამოცემულ № 1 ბრძანებაში ნათქვამია:

„საყოველთაო ცნობისათვის ქვეყნდება შემდეგი:

1) გერმანიის მიერ უსიტყვო კაპიტულაციის პირობათა შესრულების კონტროლის განსახორციელებლად და გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონის მართვა-გამგეობისათვის შექმნილია საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაცია.

2) საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის მთავარმართებლად დანიშნული ვარ მე, სამხედრო ადმინისტრაციის მთავარმართებლის პირველ მოადგილედ დანიშნულია არმიის გენერალი ვ. დ. სოკოლოვსკი, მთავარმართებლის მოადგილედ სამოქალაქო ადმინისტრაციის საქმეთა ხაზით დანიშნულია გენერალ-პოლკოვნიკი ი. ა. სეროვი, საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის შტაბის უფროსად დანიშნულია გენერალ-პოლკოვნიკი ვ. ვ. კურასოვი.

3) საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის ადგილსამყოფელია ქალაქი ბერლინი.

საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის მთავარმართებელი, მთავარსარდალი საბჭოთა საოკუპაციო ჯარებისა გერმანიაში საბჭოთა კავშირის მარშალი
გ. კ. ჟუკოვი
საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის შტაბის უფროსი გენერალ-პოლკოვნიკი
ვ. ვ. კურასოვი“.

საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის მთავარმართებლის 10 ივნისის № 2 ბრძანებაში ნათქვამია:

„ამა წლის 2 მაისს საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს ბერლინი. ჰიტლერულმა არმიებმა, რომლებიც ბერლინს იცავდნენ, კაპიტულაცია მოახდინეს, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ გერმანიამ ხელი მოაწერა უსიტყვო სამხედრო კაპიტულაციის აქტს. 5 ივნისს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა სახელით გამოქვეყნებულ იქნა დეკლარაცია იმის შესახებ, რომ გერმანია დამარცხდა და აღნიშნულ სახელმწიფოთა მთავრობებმა თავის თავზე აიღეს უმაღლესი ხელისუფლება გერმანიის მთელ ტერიტორიაზე. საბჭოთა ჯარების მიერ ბერლინის დაკავების მომენტიდან გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონის ტერიტორიაზე მტკიცე წესრიგი დამყარდა. ჩამოყალიბდა თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოები და შეიქმნა საჭირო პირობები გერმანიის მოსახლეობის თავისუფალი საზოგადოებრივი და პოლიტიკური საქმიანობისათვის. ზემოაღნიშნულის გამო ვბრძანებ:

1. ნებადართულ იქნას გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონის ტერიტორიაზე შექმნა და საქმიანობა ყველა ანტიფაშისტური პარტიისა, რომლებიც მიზნად ისახავენ ფაშიზმის ნაშთების საბოლოოდ აღმოფხვრას, გერმანიაში დემოკრატიზმისა და სამოქალაქო თავისუფლებათა საწყისების განმტკიცებას და ამ მიმართულებით მოსახლეობის ფართო მასების ინიციატივისა და თვითმოქმედების განვითარებას;

2. გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონის მშრომელ მოსახლეობას მიეცეს თავისუფალ პროფესიულ კავშირებსა და ორგანიზაციებში გაერთიანების უფლება მშრომელთა ინტერესებისა და უფლებების დაცვის მიზნით. პროფესიულ ორგანიზაციებსა და გაერთიანებებს უფლება მიეცეთ დასდონ კოლექტიური ხელშეკრულებანი საწარმოთა პატრონებთან, აგრეთვე მოაწყონ დამზღვევი სალაროები და ურთიერთდახმარების სხვა დაწესებულებანი, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებანი და ორგანიზაციები;

3. 1-ლ პარაგრაფსა და მე-2 პარაგრაფში აღნიშნულმა ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ და თავისუფალმა პროფესიულმა კავშირმა თავისი წესდება, ან საქმიანობის პროგრამა რეგისტრაციაში უნდა გაატაროს ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში და სამხედრო კომენდანტებთან, ამავე დროს წარადგინოს თავისი ხელმძღვანელი ორგანოების წევრთა სიები;

4. დაწესდეს, რომ ოკუპაციის რეჟიმის განხორციელების მთელი დროის განმავლობაში 1-ლ პარაგრაფსა და მე-2 პარაგრაფში აღნიშნული ყველა ორგანიზაციის საქმიანობა უნდა სწარმოებდეს საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის კონტროლით და მის მიერ გამოცემული ინსტრუქციების შესაბამისად;

5. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, გაუქმდეს მთელი ფაშისტური კანონმდებლობა, აგრეთვე ყველა ფაშისტური დადგენილება, ბრძანებები, განკარგულებანი, ინსტრუქციები და სხვა ამგვარი, რომლებიც შეეხება ანტიფაშისტური პოლიტიკური პარტიებისა და თავისუფალი პროფესიული კავშირების საქმიანობას და რომლებიც მიმართულია დემოკრატიულ თავისუფლებათა, სამოქალაქო უფლებათა და გერმანელი ხალხის ინტერესთა წინააღმდეგ.

საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის მთავარმართებელი საბჭოთა კავშირის მარშალი **გ. კ. ჟუკოვი.**
საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის შტაბის უფროსი გენერალ-პოლკოვნიკი
ვ. ვ. კურასოვი“.

მოსკოვს ჩამოვიდნენ პოლონეთის რესპუბლიკის კრაიოვა რადა ნაროდოვას პრეზიდენტი ბ-ნი ბ. ბერუტი, პოლონეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი ე. ოსუბკა-მორავსკი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე ბ-ნი ვ. გომულკა და კრაიოვა რადა ნაროდოვას პრეზიდიუმის წევრი ბ-ნი ვ. კოვალსკი

პოლონეთის დროებითი მთავრობის რეორგანიზაციის შესახებ კონსულტაციისათვის 13 ივნისს მოსკოვს ჩამოვიდნენ პოლონეთის რესპუბლიკის კრაიოვა რადა ნაროდოვას პრეზიდენტი ბ-ნი ბ. ბერუტი, პოლონეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი ე. ოსუბკა-მორავსკი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე ბ-ნი ვ. გომულკა და კრაიოვა რადა ნაროდოვას პრეზიდიუმის წევრი ბ-ნი ვ. კოვალსკი.

ცენტრალურ აეროდრომზე ბ-ნ ბ. ბერუტს, ე. ოსუბკა-მორავსკის, ვ. გომულკას და ვ. კოვალსკის შეხვდნენ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვ. მ. მოლოტოვი, სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე არმიის გენერალი ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ა. ი. ვიშინსკი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. ფ. გორკინი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ა. იასნოვი, ქ. მოსკოვის კომენდანტი გენერალ-ლეიტენანტი კ. რ. სინილოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ფ. ფ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მე-4 ევროპული განყოფილების გამგე ა. ნ. აბრამოვი და სხვები.

ჩამოსულთ აგრეთვე შეხვდნენ პოლონეთის საელჩოს შემადგენლობა ელჩ ბ-ნ ზ. მოძელევსკის მეთაურობით, იტალიის ელჩი ბ-ნი პ. კვარონი, შვეციის დესპანი ბ-ნი ს. სედერბლომი, ბულგარეთის წარმომადგენელი ბ-ნი დ. მიხალჩევი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საქმეთა დროებითი რწმუნებული ბ-ნი ი. გნიზდო, საფრანგეთის რესპუბლიკის საქმეთა დროებითი რწმუნებული ბ-ნი პ. შარპანტიე, იუგოსლავიის საელჩოს პირველი მდივანი ბ-ნი რ. ნიკოლაევიჩი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სამხედრო მისიის უფროსი ბ-ნი პრიკი, გენერალი გ. პიკა, აგრეთვე შვეციის მთავრობის წარმომადგენელი ბ-ნი ქ. ენგე, რომელიც პოლონეთს მიემგზავრება და გზად მოსკოვში იმყოფება, და სხვები.

შეხვედრისას ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა პოლონეთისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

აეროდრომი მორთული იყო პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ალმებით.

სსრ კავშირის პროკურატურაში

როგორც უკვე ცნობილია საკდესის 6 მაისის ცნობიდან, საბჭოთა ფრონტის სამხედრო ხელისუფალთა მიერ დაპატიმრებული იყო პოლონელთა ჯგუფი მათ მეთაურ გენერალ ოკულიცკისთან ერთად, რომელთაც ბრალად ედებათ ტერორისტული და დივერსიული აქტების მოწყობა, აგრეთვე არალეგალური რადიოგადამცემი სადგურების შენახვა საბჭოთა ჯარების ზურგში პოლონეთის ტერიტორიაზე.

ამჟამად მთავარი სამხედრო პროკურატურის მიერ წარმოებული გამოძიება ამ საქმეზე დამთავრებულია. ამ საქმის გამო სასამართლო პასუხისგებაში მიცემული არიან ოკულიცკი, იანკოვსკი, ბენი, იასიუკოვიჩი და სხვ. — სულ 16 კაცი.

საქმე განსახილველად გადაეცა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიას.

საქმის გარჩევა ნავარაუდევია უახლოეს დღეებში.

სტალინგრადი ინახულა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა სამოკავშირეთაშორისო სარეპარაციო კომისიაში ბ-ნმა ე. პოულიმ

სტალინგრადი, 14 ივნისი. (საკდესი). 14 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი სამოკავშირეთაშორისო სარეპარაციო კომისიაში ბ-ნი ე. პოული, მისი თანაშემწე დესპანი დოქტორი ი. ლიუბინი, მათი თანმხლები ექსპერტები და მრჩევლები და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ი. მ. მაისკი სტალინგრადს ჩამოვიდნენ. ისინი გაეცნენ ქალაქში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა მიერ ჩადენილ ნგრევას, აგრეთვე აქ გაშლილ აღდგენით სამუშაოებს.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა ინახულეს სტალინგრადის საწარმოები — სატრაქტორო ქარხანა და ქარხანა „კრასნი ოქტიაბრი“, სადაც ესაუბრნენ დირექტორებს, ინჟინრებსა და მუშებს.

ყოველივე იმან, რაც ბ-ნმა პოულიმ და მისმა თანმხლებმა პირებმა ნახეს, დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე. ისინი გაოცა, ერთის მხრივ, ნგრევის უდიდესმა მასშტაბებმა და, მეორე მხრივ, წარმოებული აღდგენითი სამუშაოების არაჩვეულებრივმა განქანებამ, სტალინგრადელთა ენერგიამ და სიმხნევემ.

სტუმრებს ქალაქში ყოფნის დროს თან ახლდნენ ადგილობრივი საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები, მშრომელთა დეპუტატების სტალინგრადის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. ფ. ზიმენკოვის მეთაურობით.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. ფ. ზიმენკოვმა საუზმე გამართა სტუმრების პატივსაცემად. საუზმეზე ბ-ნმა ე. პოულიმ წარმოსთქვა სადღეგრძელო გმირი სტალინგრადელებისა, რომლებიც ენერგიული და თავდადებული შრომით სწრაფად აღადგენენ მშობლიურ ქალაქს.

ორდენები გადაეცათ სოციალისტური შრომის გმირებს ვ. ლ. კომაროვს, ა. ა. ბაიკოვს, ი. პ. ბარდინს, ი. მ. ვინოგრადოვს, ნ. დ. ზელინსკის, ტ. დ. ლისენკოს, ი. ი. მეშჩანინოვს, ლ. ა. ორბელს, მ. ა. პავლოვს, დ. ნ. პრიანიშნიკოვს, აკადემიკოსებსა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებს

14 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ამხ. ნ. მ. შვერნიკმა ორდენები გადასცა აკადემიკოსთა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტთა დიდ ჯგუფს.

სოციალისტური შრომის გმირი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი **ვ. ლ. კომაროვი** იღებს ლენინის ორდენს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის.

ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“ სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების სიგელთან ერთად გადაეცათ:

აკადემიკოსებს: ა. ა. ბაიკოვს, ი. პ. ბარდინს, ი. მ. ვინოგრადოვს, ნ. დ. ზელინსკის, ტ. დ. ლისენკოს, ი. ი. მეშჩანინოვს, ლ. ა. ორბელს, მ. ა. პავლოვს, დ. ნ. პრიანიშნიკოვს.

ორდენებს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის 220 წლისთავთან დაკავშირებით, იღებენ აკადემიკოსები ნ. ნ. ანიჩკოვი, ბ. ვ. ასაფიევი, დ. ს. ბელიანკინი, ნ. გ. ბრუევიჩი, ს. ი. ვავილოვი, ბ. ა. ვვედენსკი, ვ. ა. ვესნინი, რ. ი. ვიპერი, ვ. პ. ვოლგინი, ა. ი. ვიშინსკი, ი. ე. გრაბარი და სხვა მეცნიერები და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მუშაკები.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვა წარმოსთქვა სოციალისტური შრომის გმირმა აკადემიკოსმა ლ. ა. ორბელმა.

— დღევანდელი დღე, — სთქვა ლ. ა. ორბელმა, — ღირსშესანიშნავი დღეა. ჩვენი ქვეყნის მთავრობამ ერთხელ კიდევ გამოიჩინა თავისი განსაკუთრებული ყურადღება საბჭოთა მეცნიერებისადმი და მისი მთავარი წარმომადგენლის — მეცნიერებათა აკადემიისადმი.

ორდენებითა და მაღალი წოდებით ჩვენი დაჯილდოება უნდა განვიხილოთ, როგორც ნიშანი ყურადღებისა არა ცალკე ყოველი ჩვენგანისადმი, არამედ როგორც საბჭოთა მეცნიერებისა და მეცნიერებათა აკადემიისადმი. ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ ყურადღების ეს ნიშნები გვაკისრებენ დიდ პასუხისმგებლობას, გვაკისრებენ მოვალეობას კიდევ უფრო მაღლა ავწიოთ საბჭოთა მეცნიერების დროშა და მივაღწიოთ იმას, რომ საბჭოთა მეცნიერება იყოს მოწინავე მეცნიერება, რომ მან კიდევ უფრო აამაღლოს ჩვენი ქვეყნის კულტურის დონე და მსოფლიოში პირველ ადგილზე გამოიყვანოს ჩვენი ქვეყანა.

ჩვენ მთავრობის წინაშე ვკისრულობთ ვალდებულებას, — საერთო ტაშის-ცემაში ამთავრებს თავის სიტყვას ლ. ა. ორბელი, — შევასრულოთ ეს ამოცანა!

ამხ. ნ. მ. შვერნიკმა გულითადად მიულოცა გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერებს მთავრობის მაღალი ჯილდოები და მიმართა მათ სიტყვით, რომლითაც მოკლედ დაახასიათა მეცნიერებათა აკადემიის როლი მისი 220 წლის არსებობის მანძილზე.

— მეცნიერთა დაჯილდოება, — ამბობს ნ. მ. შვერნიკი, — დაემთხვა 220 წლისთავის იუბილეს მეცნიერებათა აკადემიისას, რომელიც დაარსებულია პეტრე პირველის — რუსეთის დიდი გარდამქმნელის მიერ. მეცნიერებათა აკადემიამ გენიალურ რუს მეცნიერთა მეოხებით მალე დაიკავა თავისი ადგილი მსოფლიოს უდიდეს სამეცნიერო ცენტრთა შორის. პეტერბურგზე მუდამ მიპყრობილი იყო ევროპის უდიდეს მეცნიერთა თვალი. მეცნიერებათა აკადემია გახდა რუსული მეცნიერების შემკრები, პროგრესულ ტრადიციათა დამცველი. მაგრამ ნამდვილი და უმაგალითო აყვავება მან მიაღწია მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, რომელმაც თვითმპყრობელობასთან ერთად მოსპო რეაქციული პოლიტიკა, კასტობრიობა და კარჩაკეტილობა მეცნიერებაში. მეცნიერების აყვავება უზრუნველყო საბჭოთა სოციალისტურმა წყობილებამ, რომელიც მეცნიერებას პრაქტიკასთან აახლოებს.

შეეხო რა დიდ სამამულო ომში საბჭოთა მეცნიერების მონაწილეობას, ამხ. შვერნიკმა განაცხადა:

— საბჭოთა მეცნიერებმა გამოიჩინეს სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულება. ისინი მედგრადნენ ბრძოლაში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა — მეცნიერებისა და კაცობრიობის კულტურის ჩამხშობთა წინააღმდეგ. ისინი იბრძოდნენ სამამულო ომის ფრონტებზე და თავდადებით მუშაობდნენ ზურგში — ინსტიტუტებში, ლაბორატორიებში, ქარხნებში, ეხმარებოდნენ გმირ წითელ არმიას მტრის განადგურებაში.

— ახლა, მშვიდობიანი განვითარების პერიოდში, — განაგრძობს ამხ. შვერნიკი, — მეცნიერებათა აკადემიის წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით წამოიჭრა ახალი ამოცანები — მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი განვითარებისა, გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა მიერ დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში მეცნიერთა, მეცნიერების ადამიანთა ჩაბმისა, მეცნიერების დიდი კორიფეის სოციალისტური შრომის გმირის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა მეცნიერები თავს გაართმევენ ამ ამოცანას!

დასასრულ ამხ. ნ. მ. შვერნიკმა მეცნიერებს უსურვა ძალა, ჯანმრთელობა და სრული წარმატება მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის მუშაობაში, მეცნიერებისა, რომელიც ემსახურება საბჭოთა ხალხისა და მისი სოციალისტური სამშობლოს ინტერესებს. (საკდესი).

ტრუმენის განცხადება პრეს-კონფერენციაზე

ვაშინგტონი, 13 ივნისი. (საკდესი). პრეზიდენტმა ტრუმენმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ შედეგები, რომლებსაც ჰოპკინსისა და დევისის მისიებმა მიაღწიეს, სავსებით დამაკმაყოფილებელია. ტრუმენმა განაცხადა, რომ ყველაზე უფრო დიდმნიშვნელოვანი საკითხი ის არის, რომ ერთიანობა, ურთიერთნდობა და პატივისცემა, რომლებმაც ომში გამარჯვებამდე მიგვიყვანეს, უნდა გაგრძელდეს, რათა უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანი და მტკიცე მშვიდობა. რათა მიეღწია აზრთა უფრო დამაკმაყოფილებელ გაცვლა-გამოცვლისათვის, ვიდრე ეს ტელეგრაფით არის შესაძლებელი, მან ჰოპკინსი გაგზავნა მოსკოვს და დევისი ლონდონს. მათი მოლაპარაკება ეხებოდა შეთანხმებას სტალინის, ტრუმენისა და ჩერჩილის შეხვედრის დროისა და ადგილის შესახებ იმის შესაბამისად, როგორც ეს სამივესათვის მოსახერხებელი იქნება. დაბრუნების შემდეგ დევისმა და ჰოპკინსმა მოხსენება გაუკეთეს ტრუმენს.

შემდეგ ტრუმენმა განაცხადა, რომ მას, ჩერჩილსა და სტალინს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ შეხვდნენ, ესაუბრონ და ენდონ ერთმანეთს და რომ თვითეულ მათგანს სურს სამართლიანი და მტკიცე მშვიდობა. შეკითხვაზე, დანიშნულია თუ არა შეხვედრის გარკვეული დრო და ადგილი, ტრუმენმა დადებითი პასუხი გასცა, მაგრამ დასძინა, რომ ამის შესახებ არც გამოცხადდება და არც გამოქვეყნდება მანამდე, სანამ შეხვედრის მონაწილენი ადგილზე არ მივლენ.

ტრუმენმა დადებითი პასუხი გასცა შეკითხვაზე, მიაღწია თუ არა ჰოპკინსის მისიამ წარმატებას სხვა საკითხებშიც. შეკითხვაზე, ეხება თუ არა ეს მდგომარეობას პოლონეთში, ტრუმენმა კვლავ დადებითი პასუხი გასცა. სხვა შეკითხვაზე პასუხის გაცემისას ტრუმენმა განაცხადა, რომ მან არაფერი არ იცის იმის შესახებ, რომ ლონდონიდან მიწვეულმა ერთ-ერთმა პოლონელმა უარი სთქვა მიწვევაზე.

შეკითხვაზე, განთავისუფლებულ იქნება თუ არა 16 დაპატიმრებული პოლონელი, ტრუმენმა უპასუხა, რომ ეს იყო მოსკოვს ჰოპკინსის გაგზავნის ერთ-ერთი მიზეზი. მან განაცხადა, რომ ამ საკითხზე სწარმოებდა მოლაპარაკება, რამაც გადაწყვეტილებამდე ვერ მიგვიყვანა. მაგრამ შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობები ყოველსავე შესაძლოს აკეთებენ დაპატიმრებულთა სასარგებლოდ. კორესპონდენტმა მოაგონა ტრუმენს, რომ, სან-ფრანცისკოში სტეტინიუსის განცხადებით, მოლაპარაკება პოლონეთის მთავრობის შესახებ დამოკიდებულია დაპატიმრებულ პოლონელთა საკითხის გარკვევაზე. კორესპონდენტმა ჰკითხა, გამოიცვალა თუ არა ეს პოზიცია. ტრუმენმა უპასუხა, რომ პოზიცია გამოიცვალა, და რწმენა გამოსთქვა, რომ მოლაპარაკებას ამ საკითხის სრული გადაჭრა მოჰყვება.

ტრუმენმა განაცხადა, რომ ჰოპკინსისა და დევისის მისიების შემდეგ ვითარება გაუმჯობესდა.

ტრუმენმა დადებითი პასუხი გასცა შეკითხვაზე, კვლავ სცნობს თუ არა შეერთებული შტატების მთავრობა პოლონეთის მთავრობას ლონდონში. შეკითხვაზე, როგორი იქნება ლონდონის ემიგრანტული მთავრობის მდგომარეობა, თუ ახალი დროებითი მთავრობა შეიქმნა, ტრუმენმა უპასუხა, თუ შეიქმნა ახალი მთავრობა, რომლის შესახებაც რუსეთი, ინგლისი და შეერთებული შტატები შეთანხმებას მიაღწევენ, მაშინ ლონდონის მთავრობა არსებობას შესწყვეტსო. ტრუმენმა დადებითი პასუხი გასცა შეკითხვაზე, პოლონეთის ახალი მთავრობის შექმნის შემდეგ პირველი ნაბიჯი იქნება თუ არა თავისუფალი დემოკრატიული არჩევნების მოწყობაო.

შეკითხვაზე, რა მოხდება, თუ ლონდონელმა პოლონელებმა, რომლებიც დასახული არიან მთავრობაში მონაწილეობის მისაღებად, უარი სთქვეს მასში მონაწილეობაზე, ტრუმენმა უპასუხა, რომ მათ ამჟამად არ სთხოვენ მთავრობის შემადგენლობაში შევიდნენ, არამედ მონაწილეობა მიიღონ მოსკოვის კონფერენციაში მთავრობის შესაქმნელად. შეკითხვაზე, მართალია თუ არა, რომ ლონდონის ემიგრანტული მთავრობის არც ერთი წევრი მოსკოვში მიწვეული არ არისო, ტრუმენმა დაადასტურა, ეს მართალიაო. ტრუმენმა მოუწოდა პრესას, ნუ აღძრავთ ისეთ საკითხებს, რომლებსაც შეუძლიათ „წყალი აამღვრიონ“ და გააუარესონ მდგომარეობა პოლონეთის საკითხში. ტრუმენმა განაცხადა, რომ იგი ცდილობს მოაგვაროს მდგომარეობა და დარწმუნდეს, შეუძლია თუ არა ყველას ერთად იმუშაონ მთავრობის შესაქმნელად.

უპასუხა რა შეკითხვებზე, ტრუმენმა განაცხადა, რომ კორესპონდენტები არ დაესწრებიან ტრუმენის, სტალინისა და ჩერჩილის შეხვედრას. სახელმწიფო მდივანი სტეტინიუსი, სამხედრო რესურსების მობილიზაციის სამმართველოს ყოფილი ხელმძღვანელი ბირნსი და პრეზიდენტის შტაბის უფროსი ფლოტის ადმირალი ლეგი ახლდებიან ტრუმენს კონფერენციაზე. ჰოპკინსი და დევისი აგრეთვე ახლდებიან მას, თუ მათი ჯანმრთელობა ამის საშუალებას მისცემთ. ტრუმენმა განაცხადა, რომ სხდომები დახურული იქნება. ტრუმენმა განაცხადა, რომ ყველამ უნდა დაიცვას სიმშვიდე და რომ რუსები იმდენადვე ისწრაფვიან შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობისაკენ, რამდენადაც შეერთებული შტატები ისწრაფვიან რუსეთთან თანამშრომლობისაკენ. ტრუმენმა განაცხადა, რომ რუსებმა ეს გვიჩვენეს უკანასკნელი მოლაპარაკების დროს.

ტრუმენმა განაცხადა, რომ მან სთხოვა ყოფილ სახელმწიფო მდივან ჰელს წაჰყვეს მას სან-ფრანცისკოში კონფერენციის დახურვაზე და რომ ჰელმა უპასუხა, მსურს თან გახლდეთ, მაგრამ მგზავრობა ჩემთვის მეტად ძნელიაო. ტრუმენმა მწუხარება გამოსთქვა ამის გამო.

ტრუმენმა არ მოიწონა სენატის შესწორება, რომელიც ასუსტებს ფასებზე კონტროლის განგრძობის კანონპროექტის მოქმედებას. მან აგრეთვე მოუწოდა კონგრესს — უარი სთქვას სამხედრო ინფორმაციის ბიუროს ბიუჯეტის მკვეთრ შემცირებაზე.

ტრუმენმა გაიმეორა მის მიერ წინათ გაკეთებული განცხადება იმის შესახებ, რომ იგი იმედოვნებს კონგრესს შესაძლებლობა ექნება ხმა მისცეს კანონპროექტს „მუშახელის სამართლიანი დაქირავების უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის“ შექმნის შესახებ.

შუბაშიჩის წერილი ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ელჩებისადმი

ბელგრადი, 12 ივნისი. (საკდესი). დღეს პრესაში გამოქვეყნდა ტანიუგის სააგენტოს ცნობა იმის შესახებ, რომ იუგოსლავიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შუბაშიჩმა ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ელჩებს გადასცა მთავრობის განცხადება სლოვენიის ზღვისპირეთის სამხედრო ოკუპაციის საკითხზე სამხედრო შეთანხმების ხელმოწერის გამო.

იუგოსლავიის მთავრობა, ნათქვამია წერილში „სავსებით უწევს ანგარიშს იმას, თუ რაოდენ ძლიერ არის შელახული ინტერესები და გრძნობები იუგოსლავიელი მოსახლეობისა ტრიესტსა, ისტრიასა და სლოვენიის ზღვისპირეთში, აგრეთვე მთელი იუგოსლავიის ხალხისა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ჩვენი მოკავშირეების მოთხოვნით იუგოსლავიის არმიის დიდი ნაწილი გაყვანილ უნდა იქნას იმ ტერიტორიებიდან, რომლებიც მოწინააღმდეგისაგან ესოდენ მრავალი მსხვერპლის ფასად იქნა განთავისუფლებული, იმაზე რომ აღარა ვთქვათ რა, რომ თითქმის ყველა ეს ადგილი, ტრიესტის გამოკლებით, უმთავრესად იუგოსლავებით არის დასახლებული. მიუხედავად ამისა, იუგოსლავიის მთავრობამ მიიღო ეს გადაწყვეტილება, რათა თავის მხრივ თავიდან აეცილებინა ყოველივე საბაბი შესაძლო შეკახებისა, რათა შეენარჩუნებინა მოკავშირეთა იარაღის ძმობა, რომელიც მიღწეული სისხლისმღვრელ ბრძოლაში, რათა უზრუნველეყო მშვიდობიანობის განმტკიცება, ევროპაში მოკავშირეებთან კარგი ურთიერთობის წახალისებისა და განმტკიცების გზით.

დემოკრატიული ფედერატიული იუგოსლავიის მთავრობა დარწმუნებულია, რომ მისი გადაწყვეტილება ოდნავადაც არ მიაყენებს ზიანს იუგოსლავიის დასაბუთებულ ნაციონალურ მოთხოვნებს, ან მოთხოვნებს ტრიესტის, ისტრიისა და სლოვენიის ზღვისპირეთის მოსახლეობისას, რომელიც ამ ომის მსვლელობაში აღსდგა საერთო მტრების — ფაშისტური იტალიისა და ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ საბრძოლველად და უდიდესი სიცხადით დაამტკიცა თავისი სურვილი შევიდეს დემოკრატიული ფედერატიული იუგოსლავიის შემადგენლობაში და უდიდესი მსხვერპლი გაიღო მოკავშირეთა საქმის სასარგებლოდ".

წერილში ნათქვამია, რომ, როგორც იუგოსლავიის მთავრობა იმედოვნებს, მიღებულია ზომები იმისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას ადგილობრივი სლოვენი მოსახლეობისა და იუგოსლავიის ინტერესები იმ დეტალური პირობების შედგენისას, რომლებსაც სამხედრო შეთანხმება მოითხოვს. იუგოსლავიელ ხელისუფლებს არავინ არ გაუსახლებიათ, არავისი საკუთრების კონფისკაცია არ მოუხდენიათ და არავინ არ დაუპატიმრებიათ, გარდა სამხედრო დამნაშავეებისა და თვალსაჩინო ფაშისტებისა.

ჟურნალისტი ელიოტი ჰიტლერის მოძებნის ორგანიზაციის აუცილებლობის შესახებ

ნიუ-იორკი, 11 ივნისი. (საკდესი). „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნმა" მოათავსა ელიოტის სტატია, რომელშიც კომენტირებულია ჟუკოვის მითითება, რომ კარგი იქნება, თუ ინგლისელები და ამერიკელები შეუდგებიან ჰიტლერის ახლანდელი ადგილსამყოფელის გამოკვლევას. ელიოტი მოუწოდებს ინგლისელებსა და ამერიკელებს სერიოზულად მოჰკიდონ ხელი ამ საქმეს და შესაძლებლობა არ მისცენ ჰიტლერს გადაირჩინოს თავი ესპანეთისა და არგენტინის დახმარებით. ხაზს უსვამს რა, რომ სიმართლეს წააგავს საბჭოთა კავშირის განცხადება იმის შესახებ, რომ ჰიტლერი ამჟამად იმყოფება საბჭოთა ოკუპაციის ზონის გარეშე და ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მან მოახერხა გაქცევა, ელიოტს სავსებით ლოგიკურად მიაჩნია ის ვარაუდი, რომ ჰიტლერს განზრახვა ჰქონდა გაქცეულიყო დასავლეთის სახელმწიფოთა ოკუპაციის ზონაში, სადაც იგი ვარაუდობდა, რომ მეტი შესაძლებლობა ექნებოდა უზრუნველეყო თავისთვის უშიშროება. „თუ ჰიტლერი ბერლინიდან გაიქცა, უეჭველია, რომ მისი გაქცევა წინასწარ გულდასმით იყო მომზადებული, აგრეთვე გულდასმით იყო შერჩეული ადგილი, სადაც მას შეეძლო მიმალულიყო. ძნელი დასაჯერებელია, რომ ჰიტლერს აერჩიოს საბჭოთა საოკუპაციო ზონა ასეთი თავშესაფარისათვის. ჰიტლერს სძულდა დასავლეთის „დაცემულობის" დემოკრატიები, მაგრამ მას შეეძლო ეცადნა დასავლეთში გაქცევა".

„სადაც უნდა გაქცეულიყო ჰიტლერი, იგი უნდა გაქცეულიყო ისეთ პუნქტში, რომელიც ბერლინიდან თვითმფრინავის მოქმედების რადიუსში მდებარეობს. ყველაზე უფრო შესაძლოა, რომ ეს არის ესპანეთი. ცნობილია, რომ გერმანიიდან გაქცეულნი ესპანეთში ჩადიან, იქნება იმ მიზნით, რომ მოაწყონ ჰიტლერის გაქცევა. ცნობილია, რომ ფრანკო დიდად არის დავალებული ჰიტლერისაგან, იმიტომ რომ ესპანეთში ჰიტლერმა დაამყარა ფრანკოს ხელისუფლება. იქნებ ფრანკომ ვერ გაბედოს აშკარა თავშესაფარი მისცეს ჰიტლერს, მაგრამ მას, შესაძლოა, სურს დაეხმაროს ჰიტლერს გაქცევას. იმ ადამიანის საზოგადოებრივი გასამართლება და სიკვდილით დასჯა, რომელსაც, ფრანკოს აშკარა განცხადების თანახმად, იგი უმადლის თავის ახლანდელ მდგომარეობას, ვერ განამტკიცებდა ფრანკოს პოზიციას, როგორც ესპანელი ხალხის, ისე მთელი მსოფლიოს თვალში. სავსებით შესაძლებელია ესპანეთის ხომალდით გამგზავრება სამხრეთ ამერიკაში. აგრეთვე სავსებით შესაძლებელია თვითმფრინავით ჩასვლა ესპანეთის კოლონია რიო დე ოროში და შემდეგ იქიდან გემით გამგზავრება. ბოლოს, შესაძლებელია რიო დე ოროდან ბრაზილიაში, ხოლო იქიდან არგენტინაში გაფრენა. ამ მიზნისათვის შეიძლება აგრეთვე წყალქვეშა ნავების გამოყენება".

შემდეგ ელიოტი აცხადებს, რომ ინგლისელებმა და ამერიკელებმა არ უნდა უგულებელყონ ჰიტლერის გაქცევის ასეთი შესაძლებლობანი, არამედ ნაცვლად ამისა უნდა მიიღონ ყველა ზომები მისი შეპყრობისათვის. „ინგლისელებმა და ამერიკელებმა უნდა გამოიყენონ ყველა საშუალება ჰიტლერის შესაპყრობად, პოლიციის მოქმედებისა ან სამხედრო ოპერაციების ჩათვლით. ინგლისელებმა და ამერიკელებმა უყოყმანოდ და ნათლად უნდა აცნობონ ფრანკოს თავიანთი პოზიცია ამ საკითხში. თუ საჭირო შეიქნება, ინგლისელებმა და ამერიკელებმა შეიარაღებული ძალების გამოყენების საშუალებით უნდა მისპონ ფრანკოს რეჟიმი იმისათვის, რომ ჰიტლერს არ შეეძლოს ესპანეთში დამალვა. ინგლისელებისა და ამერიკელების ასეთი მოქმედებანი სავსებით გამართლებულ იქნება. ინგლისელებსა და ამერიკელებს ევროპაში საკმაო ძალები აქვთ ასეთი ნაბიჯისათვის, და ამიტომ მათ დაუყოვნებლივ უნდა იმოქმედონ ჰიტლერის ახალ კვალზე. მათ აგრეთვე უნდა განიხილონ შესაძლებლობა ჰიტლერის გაქცევისა პატაგონიაში, სადაც იგი იცხოვრებს იმ მთავრობის კონტროლქვეშ მყოფ რაიონებში, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს შეგნებულად განწყობილად იმ მიზნებისადმი, რომლებსაც მოკავშირეები ისახავენ".

ესპანეთში მფარველობენ ჰიტლერელებს

ნიუ-იორკი, 14 ივნისი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ესპანეთის პოლიციაში ითვლება 8 ათასი გერმანელი, რომლებიც ოფიციალურად ცხოვრობენ ესპანეთში. მოკავშირეთა საელჩოების აზრით, ესპანეთში იმყოფება 20 ათასიდან 50 ათასამდე გერმანელი. მათი მეტი ნაწილი ამჟამად ცხოვრობს საზაფხულო აგარაკებზე და მთის ველებში, აგრეთვე ზღვის ნაპირებზე. ესპანეთის მთავრობამ ბრძანება გამოსცა გერმანელთა საბანკო ანგარიშების სეკვესტრის შესახებ, მაგრამ გერმანელთა დიდი უმეტესობა წინასწარ მოემზადა ამ ღონისძიებისათვის და დიდი ნაღდი სახსრები აქვს. მარტო გერმანელი დიპლომატები და ოფიციალური პირები არიან იძულებულნი დარჩნენ თავიანთ სახლებში. დანარჩენმა გერმანელებმა, მათ შორის ასობით ტექნიკოსმა, მეტეოროლოგმა, სამრეწველო მრჩეველმა და კომერციულმა ექსპერტმა, რომლებიც ესპანეთში ჩავიდნენ, პასპორტები მიიღეს გერმანიის საელჩოში, რომელმაც მათ მიუთითა მხოლოდ იმაზე, რომ საჭიროა ესპანეთის კანონები დაიცვან და შეუმჩნევლად დარჩნენ.

სააგენტოს ცნობით, რამდენიმე თვის წინათ გერმანიის საელჩოს ატაშემ საფინანსო და ეკონომიურ საკითხებში აშკარად ურჩია ყველა გერმანელ მეწარმეს თავიანთი საკუთრება გადასცენ სანდო პირებს, რათა თავიდან აიცილონ გაჩხრეკა. საელჩომ ასეთივე რჩევა მისცა კომპანია „სოფინდუსს", რომელსაც ნაცისტური კაპიტალები აქვს. მოკავშირეთა ექსპერტები ამჟამად დიდ სიძნელეებს ხვდებიან ამ კომპანიის დამალული კაპიტალებისა და ქონების ძებნისას.

ნორვეგიელ კვისლინგელთა დაპატიმრება

ლონდონი, 13 ივნისი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ, ნორვეგიის პოლიციის უფროსის განცხადებით, დღემდე ნორვეგიაში დაპატიმრებულია 15.924 გამცემი, რომლებიც კვისლინგელთა პარტიის ყველა წევრის დაახლოებით ნახევარს შეადგენენ.

გარდა ამისა, დაპატიმრებული იყო კიდევ ორი ათასი კვისლინგელი, მაგრამ ისინი დროებით განთავისუფლებული არიან. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათი საკითხი უკვე გადაწყვეტილია.

საგაზაფხულო თესვა და ანეულის ხვნა კოლმეურნეობებში
(საქართველოს სსრ მიწსახკომის 10 ივნისის ცნობებით)

რაიონები	თესვის გეგმის შესრულება პროცენტობით	ანეულის ხვნის გეგმის შესრულება პროცენტობით	რაიონები	თესვის გეგმის შესრულება პროცენტობით	ანეულის ხვნის გეგმის შესრულება პროცენტობით
აფხაზეთის ასსრ	97,4		ბოგდანოვკა	100,4	2,0
აჭარის ასსრ	100,3		ახალციხე	101,3	13,2
სამხრეთ-ოსეთის ა. ო.	99,0		ადიგენი	105,0	
აბაშა	100,4		ასპინძა	104,8	20,9
ცხაკაია	100,3		ხაშური	102,4	14,0
გეგეჭკორი	100,0		ქარელი	101,0	77,3
ზუგდიდი	101,4		გ ო რ ი	101,8	28,7
ხობი	100,0		კასპი	101,1	23,9
წალენჯიხა	100,2		ბორჯომი	100,5	
ჩხოროწყუ	100,8		წალკა	75,7	
მახარაძე	100,1		დუშეთი	100,4	2,3
ლანჩხუთი	100,2		თეთრი წყარო	101,0	21,0
ჩოხატაური	100,4		თიანეთი	97,2	
ფოთი	100,2		ყაზბეგი	84,3	
ქუთაისი	100,2		ახალი ხევი	95,2	
წყალტუბო	100,0		ქლუხორი	106,1	
სამტრედია	100,0		გურჯაანი	94,3	
წულუკიძე	99,7		კაჭრეთი	101,5	7,6
ვ ა ნ ი	102,6		სიღნაღი	103,7	14,1
მაიაკოვსკი	100,0		წითელწყარო	117,7	50,1
ზესტაფონი	100,3		თელავი	100,8	11,5
ჩხარი	98,4		ახმეტა	100,3	16,7
ჭიათურა	100,2		ყვარელი	106,0	84,5
საჩხერე	101,2		ლაგოდეხი	100,4	
ორჯონიკიძე	101,5		თბილისი	105,7	27,2
ტყიბული	100,0		მცხეთა	108,9	42,1
ო ნ ი	104,8		ყარაია	97,3	12,8
ამბროლაური	101,0		ბორჩალო	100,6	31,4
ცაგერი	101,9		ბოლნისი	99,3	28,1
ქვემო სვანეთი	110,5		საგარეჯო	100,0	18,8
ახალქალაქი	100,3	23,4	ბაშკიჩეთი	100,0	2,0

ჩხარის რაიონის ცნობები 5 ივნისისაა.

ადიგენის, ბორჯომის, წალკისა და თიანეთის რაიონებს ანეულის ხვნა 10 ივნისისათვის დაწყებული არ ჰქონდათ.

გიორგი ქუჩიშვილი

დედა და შვილი

მკერდში ჩაიკრა,
    დაჰკოცნა,
გზა დაულოცა
    მან დილით:
„მშვიდობით დამბრუნებოდე,
არ დამთალხოდეს მანდილი!
შვილო!
    სამშობლოს ზიარად
    გშობე
  გზარდე და,
    გიარე!
გაჰყე მის ძახილს!
  იჩქარე!
რაც სჭირდეს,
    დაეზიარე!
გასწი!
    არ სჭამო სირცხვილი!
სულ გამარჯვებით იარე!"
ასეთი სიტყვით დალოცა
შვილი ქართველმა დედამა,
კიდევ დაჰკოცნა, —
    ღიმილით
დამალა გულში
    სევდა მან...
მოსწყდა,
    წავიდა ვაჟკაცი
ლაღი,
ფეხმარდი,
ტანადი,
სოფლის შვენება
და მშობლის
იმედის შუქი
    მარადი,
მახვილი —
    მტერთა გულისა,
მოძმეთა —
    ფარ-მუზარადი!
ბრძოლის ქარცეცხლში ბრუნავდა
მთა-კაცი,
    მხარბეჭ-ვეება;
სიცოცხლის შუქი ჩაუქრო,
ვისაც კი ომში შეება!
ვინ მოსთვლის,
    რაც მას შეემთხვა,
თავს რა არ გადახდენია,
სად არ დაჭრილა —
    დაცლილა,
რა სისხლი არა სდენია;
მაგრამ დიდ ტკივილთ გადმტანს
ოხვრაც არ აღმოხდენია,
აღუდგენია ძალღონე
და მტერი დაუფრენია!..
ის ლომკაცივით იბრძოდა,
იწვოდა,
    გულცეცხლოვანი,
ბერლინისაკენ მიჰქროდა,
მიჰქონდა დროშა ფრთოვანი.

ხირსა — მევენახეობის გიგანტი
(„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ალაზნის ველებისკენ მიმავალი გზის მარჯვენივ ყურადღებას იპყრობს მარადმწვანე წიწვოვანებში ჩადგმული თეთრი სახლები. ამ გზის მარცხნივ ფართო პირდაპირი გზა მიდის შორს, და თავდება იქ, სადაც თვალუწვდენელ სივრცეზე ვენახებისა და ხეხილის ბაღები იწყება. ვისაც აქ ორი ათეული წლის წინათ გაუვლია, ახლა ამ ადგილს ვერც კი იცნობს. აქ იყო გაუვალი ჯაგნარი და ტყე.

ეს მშვენიერი და ნოყიერი ადგილი წინათ გამოუყენებლად მიაჩნდათ. არავის არ მოსვლია აზრად მოესინჯა აქ ნიადაგი, რომ რაიმე კულტურა გაეშენებინა.

რამდენიმე წლის წინათ ამ გზაზე მსუბუქი მანქანა გაჩერდა. მანქანაში მსხდომნი ჩამოვიდნენ. წინ მიმავალმა გულდასმით დაათვალიერა ადგილი და თავისი აზრი ქართველ მევენახე სპეციალისტებს გაუზიარა. მალე აქ დაიწყო ვენახის გაშენება. პირველმა ცდებმა დადებითი შედეგი მოგვცეს. ვაზმა მშვენივრად იხარა. შემდეგ აქ მოეწყო მევენახეობის ვეებერთელა საბჭოთა მეურნეობა. იგი ახლა მთელს საბჭოთა კავშირში ცნობილი თავისი შესანიშნავი ღვინით.

ალაზნისაკენ მიმავალ გზაზე ეს თეთრი სახლები ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობისაა. ეს ვენახი და ხეხილის ბაღები კი ამ მეურნეობის სიმდიდრეა. ახლა ვენახებს აქ 262,5 ჰექტარი უკავია. ხირსელებმა სერიოზული მუშაობა გაშალეს, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის დადგენილების განსახორციელებლად. წელს აქ უკეთ მოჰკიდეს ხელი ვენახების მოვლა-დამუშავებას. გაზაფხულზე ვენახის მთლიანი ფართობი გადაბარეს, შემდეგ კი გადახნეს, ძირებს შორის გამობარეს 83 ჰექტარი, გეგმით კი გათვალისწინებული იყო 60 ჰექტარი. წელს პირველად დაიბარა 20 ჰექტარი დაჭაობებული ფართობი, გასუფთავებულ იქნა შტამბები 105 ჰექტარზე, ნაცვლად 65-ისა, გადაწვენილია 5.100 ძირი ვაზი.

ვენახებში ახლა გაცხოველებული მუშაობაა. მუშათა უმრავლესობას ქალები შეადგენენ. ისინი კარგად დაეუფლნენ ვენახის მოვლის საქმეს, უკვე დაამთავრეს პირველი წამლობა, შეუდგნენ წერვას. შეწამვლასთან ერთად მიმდინარეობს გოგირდის შეფრქვევა. კულტივაციაზე მუშაობენ ტრაქტორები. მიმდინარეობს თოხნა.

შეწამვლაზე მომუშავე ქალთა ბრიგადა, რომელიც ემსახურება პირველ აგროუბანს, სანიმუშოა. მას ხელმძღვანელობს ოლია შალამინკოვა. სტახანოველი ქალები შურა აგრისკოვა, გალია სუხარენკო, რაისა ბარეიკოვა ორმაგად ასრულებენ ყოველდღიურ ნორმებს. ვენახის სამუშაოებში დაწინაურდა აგრეთვე მე-5 უბანი, რომლის აგრონომია ლ. ნაცვლიშვილი. ეს უბანი ეჯიბრება მესამე უბანს. მეურნეობამ წელს 300 ათასი ძირი საკვერტე მასალა გაუგზავნა გერმანელ დამპყრობთაგან განთავისუფლებულ უკრაინის რაიონებს, ხოლო სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებს მისცა 300 ათასი ძირი სტანდარტული ლერწი.

მეურნეობაში არის სერიოზული ნაკლოვანებებიც. დაბალია შრომის დისციპლინა, საკმაო რაოდენობით არა ჰყავთ მუშახელი. აკლიათ 8 ტონა გოგირდი და 2 ტონა პარიზის მწვანე. არა აქვთ აგრეთვე დარიშხანის კალციუმი. ვენახების ცუდი მოვლის შედეგად შარშან ჰექტარზე საშუალოდ მიიღეს 43,2 ცენტნერი ყურძენი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 80-ისა. სუსტია მუშათა კულტურული მომსახურება. გაზეთებს დაგვიანებით ღებულობენ. მოუგვარებელია ელექტროგანათების საქმე. დღემდის დამთავრებული არ არის ჯერ კიდევ კაპიტალური სახლის მშენებლობა.

მეურნეობას აკლია სპეციალისტი კადრები. არა ჰყავს უფროსი მექანიზატორი და მეხილე აგრონომი. სათანადო ყურადღება არ ექცევა მეხილეობის ფერმის მუშაობის გაუმჯობესებას. აქ 1.417 ცხვრიდან დაჰკლეს და მოუვლელობით დაიხოცა 770. დაბალია პროდუქტიულობა. მეურნეობაში სუსტად არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. ყველა უბანი და მუშა არ არის ჩაბმული შეჯიბრებაში. პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები ამ საქმეს სუსტად ხელმძღვანელობენ.

ამ დღეებში საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალურად განიხილა ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის საკითხი, აღნიშნა მის მუშაობაში არსებული მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებები და დასახა ღონისძიებები მათ გამოსასწორებლად. ახლა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ამ ღონისძიებების განხორციელებისათვის დაირაზმოს მეურნეობის მთელი კოლექტივი, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები.

წელს მეურნეობამ უკეთესად უნდა იმუშაოს, რათა ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანოს 82 ცენტნერი ყურძენი. ვენახები ამას მოგვცემენ, თუ მათ არ მოვაკლებთ სათანადო მზრუნველობას.

ხირსა მევენახეობის გიგანტური საბჭოთა მეურნეობაა. მისი შექმნის ინიციატორია ქართველი ხალხის საამაყო შვილი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია, რომლის სახელსაც იგი ატარებს. მეურნეობის მთელი კოლექტივის ამოცანაა ისე მოაწყოს საქმე, რომ ეს გიგანტი ნამდვილად სანიმუშო იყოს.

ნ. ჯანჯღავა

პლანტაციები ცუდად დაამუშავეს

წულუკიძის რაიონში წელს სულ უნდა მოიკრიფოს 200 ტონა ჩაის ფოთოლი, აქედან პირველი ხარისხის 140, ხოლო მეორე ხარისხის—60 ტონა.

კოლმეურნეობების უმრავლესობა კარგად უვლის ჩაის პლანტაციებს.

სოფელ ახალშენის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. ვ. მაისურაძე) 31 ჰექტარზე ჩაატარა კულტივაცია და შეიტანა სასუქი. მაისში ჩაის ფოთლის კრეფის დავალება ამ კოლმეურნეობამ 107,5 პროცენტით შეასრულა. პირველი ხარისხის ჩაი 882 კილოგრამის ნაცვლად მოკრეფილია 1.066 კილოგრამი. კოლმეურნეები გაეცნენ ჩაის კრეფის ახალ ინსტრუქციას. ამის შედეგად ნატა კიკნაძე, ქეთო მამულაშვილი, ეფემია კიკნაძე, ეკენა ნესოშვილი და სხვ. დავალებას გადაჭარბებით ასრულებენ.

სუსტად მუშაობს კუხის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერი" (თავმჯდომარე ამხ. ვ. შავლაყაძე), რომელსაც 95 ჰექტარი პლანტაცია აქვს. რემონტი აქ 2 ჰექტარის ნაცვლად 1 ჰექტარზე ჩაატარეს. ბარვის გეგმა ვერ შეასრულეს. მინერალური სასუქიდან მხოლოდ აზოტი შეიტანეს და ისიც მხოლოდ 12 ჰექტარზე. სადრენაჟე არხები არ გაუწმენდიათ. პლანტაციები დაუცველია და პირუტყვი ანადგურებს. კრეფის გეგმა კოლმეურნეობამ მაისში მხოლოდ 51 პროცენტით შეასრულა.

კუხის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამხ. მ. გორდაძე) ჩაის პლანტაციების დაბარვის ხარისხი დაბალია. პლანტაციებში აზოტი 29 ჰექტარის ნაცვლად შეიტანეს 5 ჰექტარზე, ფოსფორი და კალიუმი კი სრულიად არ შეუტანიათ. ჩაის ვეგეტაცია ძალიან სუსტია. კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელია შრომა. ჩაის ფოთლის მკრეფავები მუშაობას 10 საათზე იწყებენ და ნაშუადღევს 5 საათზე ამთავრებენ. ეს იყო მიზეზი, რომ კოლმეურნეობამ მაისში ჩაის კრეფის გეგმა 38,1 პროცენტით შეასრულა.

ასეთივე მდგომარეობაა გუბის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობაში.

განა ასე მუშაობით შესრულდება ჩაის კრეფის გეგმა?

ი. ჯაფარიძე

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში

პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში 13 ივნისს შესდგა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელმაც მოისმინა ქარხნის უფროსის წვევის დარგის ინჟინერ-პოლკოვნიკ ამხ. მამაცაშვილის მოხსენება მიმდინარე წლის 5 თვის მუშაობის შედეგებზე და მომავალ ამოცანებზე.

ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივმა მიმდინარე წელს ვერც ერთ თვეში ვერ შეასრულა საწარმოო დავალება. ამის მიზეზი, როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, უმთავრესად ის არის, რომ არ არის დაცული ტექნოლოგიური დისციპლინა, წარმოების არც ერთ რგოლში არ არსებობს მტკიცე კონტროლი პროდუქციის ხარისხზე, არ ხდება დავალებათა შესრულების ყოველდღიური შემოწმება, საამქროების, კომპლექსური ბრიგადების ხელმძღვანელები სუსტად იბრძვიან გრაფიკით მუშაობის დანერგვისათვის, მოუგვარებელია შიდასაქარხნო დაგეგმვა; მთავარი მექანიკური განყოფილების სუსტი მუშაობის შედეგად დაზგა-დანადგარების და სამუშაო იარაღების რემონტის გეგმა სამარცხვინოდ ჩამორჩება; საამქროებში დაბალია შრომის დისციპლინა, მოუგვარებელია კადრების ტექნიკური სწავლება. 500 კაცზე მეტი გეგმას ვერ ასრულებს.

მომხსენებელმა კონკრეტული ფაქტებით ცხადჰყო, რომ ქარხნის ჩამორჩენა გამოწვეულია სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების სუსტი მუშაობით, რომ საწარმოს ჰქონდა და აქვს ყველა პირობა წარმატებით შეასრულოს დავალებანი.

შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც სასწრაფოდ უნდა გატარდეს, რათა ქარხანამ გამოუშვას ორთქლმავლები და ვაგონები გეგმით გათვალისწინებული რაოდენობით.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს საამქროთა უფროსებმა, ბრიგადირებმა, სტახანოველებმა. მათ ამხილეს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი და შეიტანეს პრაქტიკული წინადადებანი ჩამორჩენის ალსაკვეთად.

ამწყობი საამქროს სტახანოველმა ზეინკალმა ამხ. შ. კაპანაძემ გააკრიტიკა საამქროს ხელმძღვანელობის მოუქნელი მუშაობა. მან მოიყვანა იმის მაგალითები, რომ საამქროს ადმინისტრაცია ნაკლებად ზრუნავს საწარმოო პროცესების დაჩქარებისათვის, არ ეხმარება მუშებს, ყურადღებით არ ეპყრობა მათ სიგნალებს.

— საკმაოდ არ გვამარაგებენ სამუშაო იარაღებით, ღამის ცვლის მუშებს სიბნელეში უხდებათ მუშაობა, რაც ზრდის წუნს, ზედმეტად იფლანგება ნედლეული—ყველაფერი ეს მოქმედებს პროდუქციის თვითღირებულებაზე, — განაცხადა ამხ. კაპანაძემ.

სტახანოველმა ამხ. შეილდაძემ მრავალი ფაქტით ცხადჰყო, რომ არ არის ზრუნვა ახალგაზრდა მუშების ტექნიკური მომზადებისათვის, მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. ეს არის მიზეზი რომ ახალგაზრდა მუშებს შორის დაბალია შრომის დისციპლინა და სხვ.

აქტივის კრებაზე სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნის მოადგილემ მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში ამხ. ბ. ლელიშმა, რომელიც დაწვრილებით შეჩერდა ქარხნის ჩამორჩენის მიზეზებზე და ვრცლად ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რაც სასწრაფოდ უნდა განახორციელოს ქარხნის ხელმძღვანელობამ ჩამორჩენის გამოსასწორებლად.

ქარხნის კოლექტივის საბრძოლო ამოცანაა განამტკიცოს დისციპლინა, მკვეთრად გააუმჯობესოს მზრუნველობა ახალგაზრდა მუშების აღზრდისათვის, დანერგოს კულტურა და წესრიგი საწარმოში, დაამყაროს სისუფთავე ეზოსა და საამქროებში, გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი ძირეული რგოლებისადმი.

შრომითი რეზერვების მუშაკთა აქტივის რესპუბლიკური თათბირი

საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების მუშაკთა აქტივის რესპუბლიკურ თათბირზე, რომელიც 12-13 ივნისს შესდგა მოხსენებით— სახელოსნო, რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლების მოსწავლეთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის დაყენების შესახებ— გამოვიდა საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სამმართველოს უფროსის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში ამხ. მიქიაშვილი.

— საქართველოს სახელოსნო, რკინიგზის სასწავლებლებმა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლებმა,—სთქვა მომხსენებელმა — ათასობით კვალიფიციური ახალგაზრდა მუშა მოამზადეს და გადასცეს ჩვენი ქვეყნის მრეწველობასა და ტრანსპორტს. მარტო ომის დღეებში მომზადებულია 24 ათასი ახალგაზრდა მუშა. მრავალი მათგანი თავდადებული მუშაობისათვის დაჯილდოებულია მედლით „კავკასიის დაცვისათვის". ამავე პერიოდში მოსწავლეთა მიერ დამზადდა 31 მილიონ მანეთზე მეტი სასაქონლო პროდუქცია.

მთელი რიგი სასწავლებლები და სკოლები კარგად მუშაობენ ახალი სახის პროდუქციის წარმოების ათვისებისათვის. თბილისის მესამე სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეებმა აითვისეს სახარატო დაზგის ტექნოლოგია და შეუდგნენ მის გამოშვებას. კარგად მუშაობენ თბილისის მეხუთე და მეექვსე სახელოსნო სასწავლებლები, ბათუმის პირველი სახელოსნო სასწავლებელი და სხვ. საწარმოო სწავლებასთან ერთად ძირითადი ყურადღება ექცევა თეორიულ სწავლებას. მოსწავლეთა საერთო რიცხვის 45 პროცენტის ცოდნა სასწავლო წლის პირველსა და მეორე მეოთხედებში 4-ზე და 5-ზე იქნა შეფასებული.

ჩვენი მუშაობის ერთ-ერთ სერიოზულ ნაკლად დღემდე რჩება მოსწავლეთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის სისუსტე. ამის მიზეზი უპირველეს ყოვლისა ის არის, რომ ზოგიერთ სასწავლებელსა და სკოლას პოლიტიკურ საგანში მასწავლებელთა არაკვალიფიციური კადრი ჰყავს, ხოლო დირექტორები და პოლიტიკურ დარგში მოადგილენი მტკიცე კონტროლს არ ახორციელებენ მოსწავლეთა პოლიტიკურ სწავლებაზე. ზოგ სასწავლებელსა და სკოლაში სუსტად მუშაობს კომკავშირის ორგანიზაცია, ლექციების, მოხსენებების, საგიტაციო საუბრების ჩატარებას საკმაო ყურადღება არ ექცევა, უმოქმედობას იჩენენ აგიტკოლექტივები.

შრომითი რეზერვების სასწავლებლები და სკოლები მთავრობის მიერ უზრუნველყოფილი არიან კვებით, ტანსაცმლით, საერთო საცხოვრებლით, სამედიცინო მომსახურებით და სხვ. ბევრ სასწავლებელსა და სკოლაში მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო პირობები სავსებით დამაკმაყოფილებელია, მაგრამ არა ყველგან. ბათუმის პირველი სახელოსნო სასწავლებლის საერთო საცხოვრებელში უსუფთაობაა, სისტემატურად არ იცვლება თეთრეული, მოსწავლეებს არ ეძლევათ კუთვნილი ცხიმი და ხორცი, სასადილო არ არის მომარაგებული ჭურჭლეულით. ასეთივე მდგომარეობაა თბილისის მეხუთე, ბორჯომისა და წულუკიძის სახელოსნო სასწავლებელში.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს გონგაძემ, თავაძემ, ალავიძემ, მელიქიშვილმა, ბიჭიაშვილმა, გაბუნიამ, ზაგალსკიმ, მამაჯანოვმა, ნაცვლიშვილმა, ბარძიმოვმა, მაისურაძემ, კილაშვილმა და სხვებმა.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი პროპაგანდის დარგში ამხ. დ. მჭედლიშვილი. პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა სარეზერვო სასწავლებლებსა და სკოლებში არადამაკმაყოფილებელია. სასწავლებლებისა და სკოლების მუშაკები, გატაცებული საწარმოო სწავლებით, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას. ხშირად აღმზრდელები სამეურნეო მუშაკების როლში გამოდიან. ლექციები, მოხსენებები, წიგნის პროპაგანდა მოსწავლეთა შორის სავსებით მივიწყებულია, და რაც ყველაზე უფრო ცუდია, თვით სასწავლებლებისა და სკოლების მუშაკთა თეორიული დონე დაბალია. ისინი არ კითხულობენ წიგნს, არ იმაღლებენ თავიანთ იდეურ-პოლიტიკურ დონეს. ყოველივე ამის შედეგია ის, რომ მთელ რიგ სასწავლებლებსა და სკოლებში ადგილი აქვს უდისციპლინობას, ხულიგნობას, მოსწავლეთა განთესვას. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ აღნიშნული ნაკლოვანებები სასწრაფოდ იქნას აღმოფხვრილი და სათანადო სიმაღლეზე დავაყენოთ მოსწავლე ახალგაზრდობაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სამმართველოს უფროსმა ამხ. მ. ჩხეიძემ.

თათბირმა დასახა ღონისძიებანი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილემ ამხ. ს. დონაძემ.

მ. ციცხვაიას უბნის მეშახტეთა წარმატება

ტყიბული („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). მ. ციცხვაიას უბნის მეშახტეები, რომლებიც განაგრძობენ შეჯიბრებას ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის მეორე სამთო-მოსამზადებელი უბნის კოლექტივთან (უფროსი ამხ. ა. ჭირაქაძე), დაუღალავად იბრძვიან, რათა ახალი წარმატებით შეხვდნენ სტახანოვური მოძრაობის 10 წლისთავს. ამ უბნის კოლექტივმა მაისში ქვანახშირის ამოღების გეგმა 102 პროცენტით, ხოლო ივნისის 8 დღის გეგმა 110 პროცენტით შეასრულა.

მ. ციცხვაიას უბნის მეშახტეებს ნახევარი წლის გეგმის გადამეტებით უკვე ამოღებული აქვთ რამდენიმე ასი ტონა ქვანახშირი.

დ. ქათამაძე

რაციონალიზატორები

ბათუმი („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). კიროვის სახელობის ბათუმის ტყავეულის ქარხანაში გაჩაღებულია რაციონალიზატორული მუშაობა. მაღალხარისხოვანი ფერადი ტყავეულის დამუშავების მეთოდის გამარტივებისათვის. ამხ. ვ. სურგუტოვმა (ქარხნის ტექნიკური ხელმძღვანელი) შეიტანა წინადადება, რომლის განხორციელებით პროდუქციის გამოშვება 5 პროცენტით დიდდება და ყოველწლიური ეკონომია 100.000 მანეთს აჭარბებს. რაციონალიზატორებმა ამხ. ვ. ბერდნიკოვმა და ა. ხარჩიკოვმა დაამუშავეს ნარჩენებიდან ე. წ. ნიტროსალებავების მიღების ტექნოლოგია. მერეცეპტემ ამხ. რუდაკოვამ დაამუშავა საკითხი ტყავეულის გასაფერადებლად იშვიათი ზეთების ნაცვლად თევზის ზეთის გამოყენების შესახებ. ცდამ საუკეთესო ნაყოფი მოგვცა.

ახლა ქარხნის რაციონალიზატორები მუშაობენ იმისათვის, რომ ადგილობრივად მოაგვარონ სალებავებისათვის საჭირო პიგმენტების მიღება, რაც ერთიორად გააადვილებს ფერადი საზედაპირე ტყავეულის გამოშვებას.

ვ. ანთაძე

ვარციხის საბჭოთა მეურნეობაში დირექტორი ვ. ბარბაქაძე, უფროსი აგრონომი ი. კვინიხიძე და აგროტექნიკოსი მ. მაღრაძე ამოწმებენ ვაზის მსხმოიარობას; სტახანოველი გ. ადამიძე აწარმოებს გოგირდის შეფრქვევას; რგოლის ხელმძღვანელი თ. ხაზარბეგაშვილი — ვენახის აჩვევას.

ფოტო რ. აკოფოვისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპუტატი ხალხის მსახურია

კოლმეურნეობის სათავეში



დეპუტატი ი. ფესტვენიძე

დიდი სიყვარულითა და ატივისცემით სარგებლობს თავის ამომრჩევლებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იონა ფესტვენიძე. ამას მან იმით მიაღწია, რომ დაუღალავად ზრუნავს მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

იონა ფესტვენიძე 1930 წლიდან კოლმეურნეობა „წინსვლის" თავმჯდომარეა. კოლმეურნეობის სამეურნეო აღმავლობა ყოველთვის იყო მისი ძირითადი საზრუნავი. სათესი ფართობის გადიდება, მოსავლისა და შემოსავლის ზრდა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების განვითარება, შრომის უკეთესი ორგანიზაცია—აი მისი მუდმივი ზრუნვის საგანი. ამავე დროს იონა ფესტვენიძე ყურადღებას უთმობს კოლმეურნეთა კულტურული მომსახურების გაუმჯობესებას, კოლმეურნეებისათვის შრომის საუკეთესო პირობების შექმნას. მისი ინიციატივით მოეწყო ბიბლიოთეკა, სპორტული მოედანი, ჯანმრთელობის დაცვის პუნქტი, საბავშვო ბაღი და ბაგა.

სოფელ გეგუთის კოლმეურნეობა „წინსვლა" ამჟამად ერთ-ერთი მძლავრი მოწინავე კოლმეურნეობაა რაიონში. იგი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე იყო. კოლმეურნეობის თავმჯდომარე, დეპუტატი იონა ფესტვენიძე დაჯილდოებულ იქნა ოქროს მედლით.

დიდი სამამულო ომის წლებში იონა ფესტვენიძე სათავეში ედგა გეგუთის კოლმეურნეობების მიერ ფრონტელთა ოჯახებისათვის დახმარებისა და ომის ინვალიდთა შრომითი მოწყობის საქმეს. თავდაცვის ფონდისათვის გამოყოფილი იყო ნაკვეთი—6 ჰექტარი, ფრონტელთა ოჯახების დასახმარებლად—2 ჰექტარი.

დეპუტატ იონა ფესტვენიძის ხელმძღვანელობით ომის წლებშიც კოლმეურნეობა განუწყვეტლივ აღმავლობას განიცდის, ზრდის მოსავლიანობას, ადიდებს კოლმეურნეთა შემოსავალს. გასულ წელს აქ ჰექტარზე საშუალოდ 10,5 ცენტნერი სიმინდი მიიღეს. მნიშვნელოვნად გადიდდა სხვა კულტურების მოსავალიც: თვითეულ ჰექტარზე მიღებულ იქნა ხახვი—80 ცენტნერი, პამიდორი—109 და კომბოსტო—65 ცენტნერი.

ასე მუშაობს დეპუტატი ი. ფესტვენიძე კოლმეურნეობისა და კოლმეურნეთა კეთილდღეობისათვის.

გ. მეფისაშვილი

ეხმარებიან კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვა რაიონული საბჭოს დეპუტატების მოღვაწეობაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბანია..

ორჯონიკიძის (ყოფილი ხარაგოულის) რაიონული საბჭოს დეპუტატი მ. ჩიკვაიძე კულტურის სახლის აქტიური მუშაკია, ატარებს ლექციებს, მოხსენებებს და კონსულტაციებს, ზრუნავს რაიონული კლუბისა და ბიბლიოთეკის მუშაობის გაუმჯობესებისათვის. მან კულტურის სახლთან და სარაიონო კლუბთან შექმნა აქტივი, რომელიც ნაყოფიერად მუშაობს.

დეპუტატი მ. ჩიკვაიძე დიდ დახმარებას უწევს განათლების განყოფილებას სასკოლო მშენებლობის დარგში. მაგალითად, სოფელ დეისის დაწყებითი სკოლის შენობა სრულიად უვარგისი იყო მეცადინეობისათვის. მან ეს აცნობა რაიონული საბჭოს აღმასკომს, რომელმაც დაადგინა ახალი სასკოლო შენობის აგება. ახლა ეს დადგენილება განხორციელებულია—სკოლას ახალი შენობა აქვს. დეპუტატ ჩიკვაიძის ინიციატივით შეკეთებულ იქნა აგრეთვე სარგვეშის არასრული საშუალო სკოლის შენობა და მერხები.

კარგი მუშაობის მაგალითებს იძლევა დეპუტატი ი. ხაჩიძე. მან ლამაზად მოაწყო და გააფორმა ხევის სასოფლო კლუბი, მოაწყო საბჭოთა კავშირის გმირების კუთხე, მოამარაგა მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურით. აქ კოლმეურნეები და მოსწავლეები ეცნობიან სამამულო ომის გმირი მებრძოლების ბიოგრაფიებს, კითხულობენ მხატვრულ ლიტერატურას.

დეპუტატი ი. ხაჩიძე კოლმეურნეობებში სისტემატურად ატარებს ლექციებს, მოხსენებებსა და საუბრებს, ეხმარება მათ კულტურულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებაში.

ქ. სახვაძე

ვზრუნავ ჩემი საარჩევნო ოლქის აყვავებისათვის

როცა თერჯოლის საარჩევნო ოლქის მშრომელებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ამირჩიეს, შეგნებული მქონდა, რომ ეს დიდ მოვალეობას მაკისრებდა. მე მაშინვე გულმოდგინედ შევუდექი ამომრჩეველთა განაწესის შესრულებას.

უწინარეს ყოვლისა დავიწყე ჩემი საარჩევნო ოლქის დაწვრილებით შესწავლა—მისი ეკონომიური, კულტურული და საყოფაცხოვრებო პირობების გამორკვევა. ვეცნობოდი კოლმეურნეობებს, საწარმო-დაწესებულებებს, ადამიანებს. გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციე იმ რესურსებს, რომელთა გამოვლინება და დამუშავება დიდ ეკონომიურ სარგებლობას მისცემდა მოსახლეობას. ამ მიზნით დავიწყე თერჯოლის თიხის შესწავლა, რამაც დამარწმუნა, რომ იგი კერამიკის წარმოებისათვის ძვირფას და მდიდარ მასალას იძლევა. შემდეგ საკითხი დავაყენე სათანადო ორგანოების წინაშე. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა სოფელ თერჯოლაში ააგო კერამიკული ქარხანა და დაიწყო კრამიტის გამოშვება.

ჩემივე ინიციატივით დაიწყო საცდელი მუშაობა თერჯოლის თიხიდან მეტლახის ფირფიტების მისაღებად. დადასტურდა, რომ თერჯოლის თიხიდან შეიძლება დამზადდეს საუკეთესო ხარისხის მეტლახის ფირფიტები. ქარხანამ ხელი მოჰკიდა ამ პროდუქციის გამოშვებას. მალე მთელს საბჭოთა კავშირში დიდი მოთხოვნილება შეიქმნა ამ ფირფიტებზე. მაგალითად, მოსკოვის მეტროპოლიტენის მშენებლობისათვის თერჯოლის კერამიკულ ქარხანას ყოველწლიურად დიდი რაოდენობით ეკვეთავენ მეტლახის ფირფიტებს.

სადეპუტატო მოღვაწეობაში დიდ ადგილს ვუთმობდი ჩემი საარჩევნო ოლქის სოფლების რაიონის ცენტრთან დაკავშირების საქმეს. ამ მიზნით სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის საქართველოს რწმუნებულის წინაშე დავაყენე საკითხი ჩხარის რაიონის სატელეფონო ქსელის გაფართოების შესახებ. ეს საქმე მოგვარდა. ასეთივე შედეგი მოჰყვა წინადადებას რაიონის რადიოქსელის გაფართოების შესახებ.

სამამულო ომის პირობებში მე ხშირად ვერ ვხვდებოდი ჩემს ამომრჩევლებს, მაგრამ გულისხმიერად ვეპყრობოდი მათ ყველა მტკივნეულ საკითხებს, რომლებიც კი ჩემამდე მოდიოდა. მომავალში კიდევ უფრო გავაძლიერებ კავშირს ამომრჩევლებთან.

ი. ნიკოლაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

რატომ უყვართ ისინი ამომრჩევლებს?

ფოთი („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). დეპუტატი მოწოდებულია გულისხმიერად მოეკიდოს მოსახლეობის საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს, პატიოსნად, თავდადებით ემსახუროს თავის ამომრჩევლებს. სწორედ ასეთია ფოთის ქალაქის საბჭოს დეპუტატი ბაბუცა მდივანი. იგი დაუღალავად ზრუნავს მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და თავისი საარჩევნო უბნის კეთილმოწყობისათვის. მაგალითად, საარჩევნო უბნის მოსახლეობას არ ჰქონდა წყალი. ამომრჩევლებმა ეს საკითხი დააყენეს დეპუტატის წინაშე. წყლის გაყვანის საკითხი დეპუტატმა საფუძვლიანად შეისწავლა და ამომრჩევლებს პირობა მისცა, რომ ამ საქმეს მოაგვარებდა. დეპუტატმა წინადადება შეიტანა აღმასკომში, დადგენილების გამოტანის შემდეგ მან დარაზმა უბნის აქტივი და საქმე ბოლომდე მიიყვანა. სამ ქუჩაზე მისი ინიციატივით იქნა წყალი გაყვანილი.

დეპუტატი ოლია ტიკარაძე ხშირად ხვდება ამომრჩევლებს, უსმენს და ეხმარება მათ. ერთხელ ამომრჩევლებმა საუბარი ჩამოაგდეს, რომ ადგილობრივი კლუბი მოსახლეობის კულტურულ მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს, რადგან პატარა შენობა აქვს. ეს საკითხი დეპუტატმა სათანადო ორგანოების წინაშე დააყენა. უმოკლეს დროში გამონახულ იქნა ახალი შენობა კლუბისათვის.

ქალაქის საბჭოს დეპუტატებმა ომის დღეებში დიდი დახმარება გაუწიეს ფრონტელთა ოჯახებს. დეპუტატი ი. წულაია სწავლობს ფრონტელთა ოჯახების მატერიალურ პირობებს და შესაფერის დახმარებას უწევს მათ. მაგალითად, მისი ინიციატივით შეკეთდა ბინა და მიეცა ტანსაცმელი წითელარმიელ მ. კოზიას ოჯახს.

ქალაქის საბჭოს ბევრი დეპუტატი აქტიურ მონაწილეობას იღებს აღმასკომის სხდომებზე გამოსატანი საკითხების მომზადებაში. დეპუტატმა ე. ალანიამ, რომელიც ჯანმრთელობის დაცვის მუდმივ მოქმედ კომისიას ხელმძღვანელობს, აღმასკომის სხდომაზე განსახილველად გამოიტანა საკითხი დონორთა შორის მუშაობის გაუმჯობესებისა და ქალაქის სავადმყოფოს შესახებ.

აი რატომ უყვართ ფოთის მშრომელებს თავიანთი დეპუტატები.

ვ. გუჯაბიძე

დეპუტატების ინიციატივით

ორჯონიკიძის (ყოფილი ხარაგოულის) რაიონის მშრომელები აღფრთოვანებული არიან წითელი არმიისა და მთელი საბჭოთა ხალხის ბრწყინვალე გამარჯვებებით. ისინი მთელი ენერგიით მუშაობენ საყვარელი სამშობლოს ძლიერების გადიდებისათვის. ამ საქმეში მათ ეხმარებიან რაიონული საბჭოს დეპუტატები.

ვარვარა ხიჯაკიძე მშრომელთა დეპუტატების ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს ერთ-ერთი მოწინავე დეპუტატია. იგი მუშაობს უშთავრესად სოფელ წყალაფორეთის უბანში, სადაც დეპუტატად აირჩიეს და მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. პატრიოტი ქალი შეუწყვეტლად ზრუნავს მშრომელთა მატერიალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. სამამულო ომის პერიოდში ფრონტელთა ოჯახებისათვის დახმარების საქმე მისი სადეპუტატო მოღვაწეობის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი გახდა.

ვ. ხიჯაკიძის ნაყოფიერმა სადეპუტატო მუშაობამ ხელი შეუწყო იმას, რომ წყალაფორეთის კოლმეურნეობამ წელს პირველმა დაამთავრა საგაზაფხულო თესვა.

დეპუტატმა პ. თხელიძემ სადეპუტატო მოღვაწეობის დიდი სკოლა გაიარა. მისი სადეპუტატო მოღვაწეობა მრავალ საკითხს შეეხო. დავიწყოთ იმ უბნის სოფლების კეთილმოწყობით, სადაც იგი დეპუტატად აირჩიეს. ბორითის შიდა სასოფლო გზები სანიმუშო წესრიგშია. ლამაზად არის გაშენებული ბაღები სასოფლო საბჭოს, კოლმეურნეობების, კოოპერაციის და სხვა დაწესებულებათა შენობების ეზოებში.

სოფელ ხალანძილის მოსახლეობა დიდად კმაყოფილია დეპუტატ პ. ფურცელაძის მუშაობით. სოფელი განიცდიდა მძიმე მდგომარეობას ხიდობის გამო. დეპუტატმა სოფლის ხიდების მშენებლობის საკითხი დაწვრილებით შეისწავლა. როცა მან წინადადება ხიდების მშენებლობის შესახებ აღმასკომის წინაშე დააყენა, ზუსტად იცოდა ამ მშენებლობისათვის საჭირო ყველა წვრილმანი. აღმასკომმა წინადადება მიიღო და ხიდი დაკვეთითი წესით იქნა აშენებული.

დეპუტატ პ. ფურცელაძის ინიციატივით მოეწყო სოფელში ექვსი წყარო და აშენდა არასრული საშუალო სკოლის შენობა.

ბევრი საინტერესო წინადადება აქვს დაყენებული რაიონული საბჭოს აღმასკომის წინაშე დეპუტატ ვ. ბოგვერაძეს. ჰიგოთი ვაზის უზრუნველსაყოფად მან მიმდინარე სამეურნეო წლის დასაწყისში სესიაზე დააყენა საკითხი თეთრი აკაციის გაშენების შესახებ რაიონში. თეთრი აკაცია საუკეთესო ჰიგოს იძლევა ვაზისათვის. სესიაზე წინადადება მოწონებულ იქნა და აღმასკომმა პრაქტიკულად შეუდგა მის განხორციელებას.

ბევრი სხვა მოწინავე დეპუტატი ჰყავს ჩვენს რაიონულ საბჭოს. ისინი გულდასმით სწავლობენ თავიანთი საარჩევნო ოლქების საჭირბოროტო საკითხებს და ადგილზევე იღებენ ზომებს მათ გადასაჭრელად. ასეთ დეპუტატთა რიცხვს ეკუთვნიან ა. ფერაძე, ზ. თაბუკაშვილი, შ. ნეფარიძე, ზ. სვანიძე და ნ. მენაბდე.

ზ. ლავგაშიძე

მშრომელთა დეპუტატების ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს მუდმივად მოქმედი კომუნალური კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი გ. ბეჟანიშვილი ესაუბრება კომისიის წევრებს თბილისის ქუჩების შეკეთების მსვლელობის საკითხებზე. სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) დ. მარიამიძე, თ. ქუთათელაძე, გ. ბეჟანიშვილი.

ფოტო რ. აკოფოვისა

ქალაქის კეთილმოწყობისათვის

დეპუტატი მ. ჯიქია

კვირადღეა. ქუთაისელები სამუშაოდ გამოსულან ერთ-ერთი ლამაზი უბნის—მუხნარის აგარაკის გამწვანებაზე. იგი უნდა გახდეს კულტურული დასვენებისა და გართობის საუკეთესო ადგილი ქუთაისის მშრომელებისათვის.

მომუშავეთა ერთი ჯგუფი 87 კაცისაგან შესდგება. ამ ჯგუფს მეთაურობს მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი გიორგი ჩიხლაძე.

დეპუტატი გ. ჩიხლაძე, პროფესიით ექიმი, თავის ამომრჩევლებთან ერთად პირადად მონაწილეობს ქალაქის კეთილმოწყობის ყველა საქმეში. მის ინიციატივას ყოველთვის მხარს უჭერენ მასები. დეპუტატმა გ. ჩიხლაძემ კარგად იცის თავისი ამომრჩევლების დამოკიდებულება ქალაქის კეთილმოწყობისადმი, იცის, რაოდენ დიდია მშრომელთა სიყვარული მშობლიური ქალაქისადმი, იცის, რომ მასები მზად არიან შეიტანონ თავიანთი წვლილი ქალაქის კეთილმოწყობის, მისი გამშვენიერების საერთო საქმეში.

ამ დღეს დეპუტატ გ. ჩიხლაძის ჯგუფი თავდადებით მუშაობდა. მან ძალები განალაგა იმის მიხედვით, თუ ვის რა უნარი შესწევდა და რისი გაკეთება შეეძლო. შრომის სწორმა ორგანიზაციამ კარგი ნაყოფი გამოიღო. საღამოს გ. ჩიხლაძემ შეკრიბა ჯგუფის წევრები და შეაჯამა მთელი დღის შრომის შედეგები. ჯგუფის შესანიშნავი შრომის შედეგად მწვანე ნარგავებისათვის 800-ზე მეტი ორმო იქნა ამოთხრილი. დეპუტატმა გ. ჩიხლაძემ გულითადი მადლობა გამოუცხადა თანამოქალაქეებს, რომლებმაც ამ დღეს თავი ისახელეს და წარმატებით იმუშავეს მუხნარის აგარაკის გამწვანებისათვის.

დეპუტატ გ. ჩიხლაძეს ქალაქის კეთილმოწყობის საქმე თავისი სადეპუტატო მოღვაწეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უბნად მიაჩნია. იგი სისტემატურად ზრუნავს ქალაქში სანიტარული წესრიგის დამყარების, ქუჩების მოვლის, წყალსადენის გაყვანის, განათების მოწყობისა და საერთოდ საქალაქო მეურნეობის აღმავლობისათვის.

* * *

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ქუთაისის საქალაქო საბჭოს დეპუტატმა მარიამ ჯიქიამ შეკრიბა თავისი ამომრჩევლები და გამართა საუბარი საარჩევნო უბნის ქუჩების კეთილმოწყობის შესახებ. საკითხი ეხებოდა სარაჯიშვილის ქუჩაზე წყალგამტარი არხების გაწმენდას. დიდი ხნის გაუწმენდაობის გამო არხები წყალს არ ატარებდნენ და წყალი ქუჩაში გუბდებოდა. ეს ჰქმნიდა ინფექციურ დაავადებათა გაჩენის საშიშროებას. დეპუტატმა მ. ჯიქიამ იქვე გამოძებნა საშუალება წყალგამტარი არხების გასაწმენდად.

დეპუტატის მოწოდებას ყველამ მხარი დაუჭირა. არხების გასაწმენდად უბნის მთელი მოსახლეობა გამოვიდა. წყალგამტარი არხები მალე გაწმინდეს.

აი კიდევ მაგალითი. სტუროას ქუჩაზე ქვაფენილი და ტროტუარები უწესო მდგომარეობაში იყო. ამომრჩევლებმა მიმართეს დეპუტატ ჯიქიას, რომელმაც სასწრაფოდ შეისწავლა ეს საკითხი, ადგილზევე გამოძებნა საშუალებები და შეუდგა საქმეს. ქვაფენილები და ტროტუარები მალე წესრიგში იქნა მოყვანილი.

* * *

ამას წინათ დეპუტატი ბაგრატ კვიცარიძე გამოცხადდა საქალაქო საბჭოში აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ბ. ლომიძესთან, ესაუბრა ლუნაჩარსკის ქუჩის სავალალო მდგომარეობაზე და გააცნო ყველა შესაძლებლობა, რაც მის განკარგულებაში იყო. მოკლე ხანში გაჩაღდა მუშაობა, რომელშიც აქტიურად ჩაება ბ. კვიცარიძე თავისი ამომრჩევლებით. ამჟამად ლუნაჩარსკის ქუჩის კეთილმოწყობა მთლიანად მთავრდება.

დეპუტატმა ბ. კვიცარიძემ საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინაშე დააყენა თავისი საარჩევნო უბნის ელექტროგანათების გადიდებისა და წყალსადენის ქსელის გაფართოების საკითხი. საქალაქო საბჭოს აღმასკომმა შეისწავლა ეს საკითხი და დაავალა კომუნალური მეურნეობის განყოფილებას მისი უახლოეს ხანში მოგვარება.

* * *

ასე უვლიან დეპუტატები მშობლიურ ქალაქს — ქუთაისს. ისინი დაუღალავად მუშაობენ საქალაქო მეურნეობის აღმავლობისათვის.

კ. გიორგიძე

აგრონომის რჩევა-დარიგება

როგორ ვკრიფოთ ჩაის ფოთოლი

წელს ჩვენს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მიცემული აქვთ დავალება მოჰკრიფონ მხოლოდ პირველი და მეორე ხარისხის ჩაის ფოთოლი. ამასთან პირველი ხარისხის ფოთლის რაოდენობა სულ მცირე 75 პროცენტს უნდა შეადგენდეს.

ეს ახალი ღონისძიება მიზნად ისახავს: გაუმჯობესდეს გადასამუშავებელი ფოთლისა და მიღებული მზა პროდუქციის ხარისხი, მოღონიერდნენ და დასრულდნენ ზრდაში ჩამორჩენილი ბუჩქები — მიეცეს მათ სათანადო სიმაღლე, სიფართოვე, სიძლიერე, რათა მომავალ წლებში მივიღოთ ჩაის უფრო უხვი მოსავალი.

ცივმა და დაგვიანებულმა გაზაფხულმა გააჭიანურა ჩაის ფოთლის შემოსვლა. ჩვეულებრივ, ნორმალურ პირობებში ჩაის ფოთლის კრეფა ძირითადად მაისის პირველ რიცხვებში იწყება. მაგრამ წელს ეს ასე არ მოხდა. წყალტუბოს რაიონმა კრეფის დაწყება მხოლოდ 12 მაისისათვის შესძლო, წულუკიძის რაიონმა — 14 მაისისათვის. დანარჩენ რაიონებს მაისის ბოლომდე ჩაი არ უკრეფიათ. მახარაძის რაიონს, რომელმაც წელს ჩაის ფოთოლი რესპუბლიკური გეგმის თითქმის მეოთხედი უნდა მოჰკრიფოს, ფოთლის შემოუსვლელობის გამო კრეფა 25 მაისსაც არ ჰქონდა დაწყებული. ასეთივე მდგომარეობა იყო ლანჩხუთისა და სხვა რაიონებში.

ფოთლის შემოსვლის დაგვიანების მიუხედავად, წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ყველა პირობაა შექმნილი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის. ახლა მთავარია: კრეფის წესების ზუსტად დაცვა, პლანტაციებში აზოტოვანი სასუქის დროზე, მთლიანად და წესიერად შეტანა. ამ მხრივ ბევრგან კარგი მდგომარეობაა. წესიერი კრეფის შედეგად ბათუმის, ქობულეთის, მახარაძის, ჩოხატაურის, ტყიბულის, ცხაკაიას, აბაშისა და ზუგდიდის რაიონებში მაისში მოკრეფილი ფოთოლი თითქმის მთლიანად პირველი ხარისხისაა. მაგრამ ზოგან იმ მიზნით, რომ მაისის გეგმა შეესრულებინათ უგულებელჰყვეს კრეფის წესების დაცვა — მოჰკრიფეს შემოუსვლელი ფოთოლი, 1-2-ფოთლიანი ყრუ დუყები, ახლად გაღვიძებული კვირტები. დუყი მოჰკრიფეს თევზა ფოთლამდე, ზოგან კი თევზა ფოთლიანადაც. ასეთი კრეფა ასუსტებს ბუჩქებს, ხელს უწყობს ყრუ დუყების მასობრივად წარმოშობას, ამცირებს მოსავლიანობას, სცემს ხარისხს. მსგავსი რამ აღარ უნდა განვიმეოროთ.

აგროწესები მიგვითითებს, რომ, თუ მაისში ცალკეულ პლანტაციებში ფოთლის შემოუსვლელობის გამო კრეფა არ ჩაგვიტარებია, ამ შემთხვევაში ივნისში პირველი კრეფა უნდა სწარმოებდეს მაისის კრეფის წესის მიხედვით, მაისში კი ფოთოლი უნდა მოკრეფილიყო ოთხ და ხუთფოთლიან ნორმალურ ყლორტებზე — ოთხფოთლიან ყლორტებზე იკრიფებოდა ორფოთლიანი დუყი კვირტით, ხუთფოთლიანზე კი — სამფოთლიანი დუყი კვირტით. ორივე შემთხვევაში ნეკზე რჩებოდა ორი ნორმალური და ერთი თევზა ფოთოლი. რაც შეეხება სამფოთლიან ყრუ ყლორტებს, მასზე იკრიფება ერთი ფოთოლი, ხოლო ოთხფოთლიანზე—ორფოთლიანი დუყი. ორივე შემთხვევაში ნეკზე რჩება ორი ნორმალური და თევზა ფოთოლი.

25 სანტიმეტრზე უფრო დაბალ ბუჩქზე ფოთოლი სრულიად არ იკრიფება, სანამ ის 40 სანტიმეტრამდე არ მიაღწევს. ფოთოლი ივლისამდე არ იკრიფება აგრეთვე იმ ბუჩქებზე, რომელნიც ცუდად არიან შეფოთლილი და უხმებათ ძირითადი ტოტების წვერები. ასევე არ იკრიფება ფოთოლი ბუჩქის გვერდითს ყლორტებზე, ვიდრე ისინი არ მიაღწევენ ბუჩქის ან შპალერის საერთო სიმაღლეს.

იმ პლანტაციებში, სადაც ვეგეტაცია ნორმალურად დაიწყო, და მაისში კრეფაც ჩატარდა, ივნისში ფოთოლი უნდა იკრიფებოდეს სამ და ოთხფოთლიან ნორმალურ ყლორტებზე, აგრეთვე ორ და სამფოთლიან ყრუ დუყებზე. ყველა ამ შემთხვევაში ნეკზე უნდა დარჩეს ერთი ნორმალური და თევზა ფოთოლი.

ივლისიდან სეზონის დამლევამდე 7 წლისა და მეტი ხნის ჩაის პლანტაციებში ფოთოლი იკრიფება ორ და სამფოთლიან ყლორტებზე ისე, რომ ნეკზე რჩება მხოლოდ თევზა ფოთოლი.

უფრო ახალგაზრდა პლანტაციებში (შვიდ წლამდე ხნოვანებისა), აგრეთვე სრულწლოვან, მაგრამ სუსტ პლანტაციებში ივლისში კრეფა ისევე სწარმოებს, როგორც ივნისში (ნეკზე რჩება ერთი ნორმალური და თევზა ფოთოლი), ხოლო აგვისტოდან ამ პლანტაციებში კრეფა თევზა ფოთლამდე სწარმოებს. ნაზ ყრუ დუყებზე ფოთოლი უნდა მოიკრიფოს თევზა ფოთლამდე.

ყველა აღნიშნული მითითება კრეფის შესახებ მტკიცედ უნდა დავიცვათ. როგორც წესი, მაისში მეორე ხარისხის ფოთოლი თითქმის სრულიად არ უნდა იყოს. მიუხედავად ამისა, კრეფის წესების დარღვევის გამო, გეგეჭკორის რაიონში მაისში მოკრეფილი ფოთლის 38,5 პროცენტი მეორე ხარისხისაა, წულუკიძის რაიონში — 34,1, ლანჩხუთის რაიონში — 28,2, ხოლო წყალტუბოს რაიონში — 16,2 პროცენტი. ასეთივე მდგომარეობაა წალენჯიხის, ხობის, ზესტაფონის, სამტრედიისა და გულრიფშის რაიონებში. საჭიროა ეს მდგომარეობა გამოვასწოროთ.

ივნისი და ივლისი გადამწყვეტი თვეებია ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმის როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად შესრულებაში. საჭიროა მტკიცედ დავნერგოთ ჩაის ფოთლის განუწყვეტელი კრეფის პრაქტიკა. სისტემატურად შემოვუაროთ ჩაის ბუჩქებს და მოვკრიფოთ მხოლოდდამხოლოდ შემოსული ფოთოლი.

„საქმე ისე უნდა მოეწყოს, — გვასწავლის ამხ. ლ. ბერია, — რომ ფოთოლი მოიკრიფოს დროულად და ყველა დადგენილი წესის დაცვით".

ეს მითითება განუხრელად უნდა განვახორციელოთ ყველა ბრიგადაში, რგოლში, არ დავუშვათ ფოთლის გაუხეშება, არც შემოუსვლელი და არც ახლად გაღვიძებული კვირტების კრეფა.

არ უნდა განმეორდეს გასული წლების პრაქტიკა, როცა ზოგან ყლორტებს ძირში ჰგლეჯდნენ. საჭიროა მტკიცედ გვახსოვდეს, რომ მოსავლიანობის გადიდების საქმეში ერთ-ერთი ძირითადი ღონისძიება არის წესიერი კრეფა. კრეფის სანიმუშოდ მოწყობით ჩვენ შეგვიძლია არა მარტო მოვსპოთ დანაკარგები, არამედ მივაღწიოთ პლანტაციის სერიოზულ გაუმჯობესებას.

დაუშვებელია, როცა ნორმის გადამეტებით შესრულების მიზნით, ზოგან ჰკრეფენ დუყს მხოლოდ ნორმალურ ყლორტებზე და სტოვებენ 3 და 4-ფოთლიან ყრუ დუყებს, აგრეთვე ნორმალურ, მაგრამ სუსტ განვითარებულ 3-4-ფოთლიან დუყებს. გარდა ამისა, ზოგჯერ ბუჩქზე სტოვებენ მოსავლის ნაწილს (დუყების დაახლოვებით 5-10 %). ეს დარჩენილი შემოსული ყლორტები ბუჩქებზე უხეშდება, ხარისხი უარესდება, მოსავალიც მცირდება.

ამიტომ საჭიროა სისტემატურად შევამოწმოთ პლანტაციები აგრონომის ხელმძღვანელობით, დროზე შევამჩნიოთ და გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი.

ჩაის ფოთოლი უნდა იკრიფებოდეს სუფთა ხელით, სუფთა კალათში. დაუშვებელია ფოთლის კრეფა კალთაში ან ვედროში. აუცილებელია სხვადასხვა ხარისხის ფოთოლი ცალცალკე იკრიფებოდეს და ბარდებოდეს ფაბრიკას. პირველი ხარისხის ნედლეულად ჩაითვლება ახალგაზრდა, ნორმალური და ნაზი დუყები, რომელთაც აქვთ არა უმეტეს სამი ფოთლისა ზრდა მოზარდი კვირტებით. ასევე პირველ ხარისხში მიიღება ერთ და ორფოთლიანი ნაზი ყრუ დუყები.

იმ შემთხვევაში, თუ პირველი ხარისხის ფოთოლი ფაბრიკაში ან პუნქტში დროზე მიუტანლობის გამო დაჭკნა, ან უწესო გადაზიდვის გამო დათელილია და მექანიკურად დაზიანებული, იგი მხოლოდ მეორე ხარისხად მიიღება. პირველი ხარისხის ფოთლის ჭურჭელში დაბეკნა და შეხურებაც გამოიწვევს მის მეორე ხარისხად მიღებას. ძირითადად კი მეორე ხარისხად მიიღება ისეთი მოსავალი, რომელშიც ქვედა გაუხეშებული ფოთლებიანი დუყების რაოდენობა ნორმალურ სამფოთლიან და ყრუ ორფოთლიან დუყებში 20 პროცენტს არ აღემატება.

ფოთოლი პუნქტებზე ან ფაბრიკაში ჩაბარებულ უნდა იქნას დილით მოკრეფილი — დღის 12 საათამდე, დღის 12 საათის შემდეგ მოკრეფილი კი — ორჯერ: პირველი — დღის 4 საათამდე და მეორე — ღამის 12 საათამდე.

ფოთლის გადაზიდვა სავალდებულოა გოდრებით ან ფანერის დახვრეტილი ყუთებით. დაუშვებელია ფოთლის დაბეკნა. საჭიროა მტკიცედ დავიცვათ სისუფთავე, როგორც გადაზიდვის, ისე გადამუშავების დროს. ფოთოლს არ უნდა ჰქონდეს არავითარი გარეშე სუნი.

ჩაის ფოთლის კრეფისა და გადამუშავების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შრომის სწორად მოწყობას. დიდია ამ მხრივ მიწგანებისა და აგრონომების როლი. მათ ევალებათ არ დაუშვან კრეფის წესების დარღვევის არც ერთი შემთხვევა, სისტემატურად უხსნიდნენ მკრეფავებს ჩაის კრეფის ახალ წესებს, ეხმარებოდნენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შრომის მოწესრიგებაში, ჩაის მაღალი მოსავლის მიღებაში.

მ. დოლაბერიძე

საქართველოს სსრ მიწსახკომის სუბტროპიკული სამმართველოს მთავარი აგრონომი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების VI სამეცნიერო სესია

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების VI სამეცნიერო სესიაზე წარმოდგენილი მოხსენებანი აშუქებდნენ მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მავნებელთა და ავადმყოფობათაგან დაცვის პრობლემებს.

პირველ დღეს მოსმენილ იქნა მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის ენტომოლოგიის განყოფილების გამგის პროფესორ ი. ბათიაშვილის მოხსენება თემაზე: „შაქრის ჭარხლის კულტურის მავნე ფაუნის შესახებ ქართლში“.

მომხსენებელი შაქრის ჭარხლის გავრცელებული მავნებლების გამრავლებას და გამრავლების შეფერხებას უკავშირებს ადგილობრივ პირობებს (ჰაერის ტემპერატურა, ტენიანობა, აგროტექნიკა) და ამის საფუძველზე სახავს გავრცელებულ უმთავრეს მავნებელთა (ხვატარი, ივნისის ღრაჭა და სხვ.) წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს.

მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ნ. თულაშვილი მოხსენებაში — „მასალები მინდვრისა და ტექნიკური კულტურების უმთავრეს მავნებელთა გამრავლების დინამიკის შესახებ საქართველოში“ — აღნიშნავს მინდვრის კულტურათა მავნე ფაუნის თავისებურებას და უმთავრეს მავნებელთა ბიოლოგიის, ეკოლოგიის და გამრავლების დინამიკის სპეციფიკურ მხარეებს საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორების განსაკუთრებული მრავალფეროვნების პირობებში. ამასთან მომხსენებელმა მავნებელთა ცალკე სახეების ბიოეკოლოგიური ანალიზის საფუძველზე წარმოადგინა მათი მასობრივი გამრავლების პროგნოზის დასაბუთება და საწინააღმდეგო ღონისძიებათა სისტემა ცალკეული კლიმატური ზონების მიხედვით.

პროფესორ ლ. კალანდაძის მოხსენება შეეხებოდა სამარცვლე პურეულის მავნე მწერებთან ბრძოლის თანამედროვე აგროტექნიკურ საშუალებებს.

მემინდვრეობის მავნებლებიდან საქართველოს პირობებში უფრო მეტად შესწავლილია სამარცვლე პურეულის მავნებლები (150 სახეობა). ამ მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლაში უმთავრესს წარმოადგენს აგროტექნიკური მეთოდი. მაგრამ ამ მეთოდს დღემდე არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება. თესლბრუნვა, ყამირ-ნაწვების, სახნავების, მიტოვებული ნაკვეთების შემოღობვა, შედარებით გამძლე ჯიშების შერჩევა, ნიადაგის კარგი დამუშავება, სარეველებთან ბრძოლა — აი პურეულის მავნებლებთან ბრძოლის უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი.

მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს გ. ბილანიშვილმა, ვ. ჯანჯალაშვილმა (საქართველოს სსრ მიწსახკომი), პროფესორებმა დ. კობახიძემ (ზოოლოგიის ინსტიტუტი), ნ. ალექსიძემ (მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტი), გ. რცხილაძემ (მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი), დოცენტმა ბ. იაკობაშვილმა (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორი), დოცენტმა ი. ბახტაძემ (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი) და სხვ.

სესიის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა ნ. კეცხოველმა შეაჯამა მოხსენებათა გარშემო გამართული კამათი და აღნიშნა, რომ ჯერჯერობით მემინდვრეობის დარგში მავნებლების შესწავლის დონე, სხვა დარგებთან შედარებით, უფრო დაბალია, ხოლო ბრძოლის აგროტექნიკურ ღონისძიებებს სათანადო ყურადღება არ ექცევა.

საჭიროა ამჟამად უკვე არსებული შედეგების საფუძველზე წარმოებას გადაეცეს მინდვრის კულტურათა მავნებლების წინააღმდეგ გამოსაყენებელი ეფექტური აგროტექნიკური და სხვა ღონისძიებანი. ამასთან უნდა გაცხოველდეს ენტომოლოგებისა და მემინდვრე აგროტექნიკოსების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ამ მიმართულებით.

სესიის შემდეგ სხდომაზე მოსმენილ იქნა მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის ქიმიურ-ტექნოლოგიური განყოფილების გამგის პროფესორ ს. ქარუმიძის მოხსენება თემაზე: „მინდვრის თაგვის წინააღმდეგ ქიმიური მეთოდის გამოყენებისათვის“.

მომხსენებელი ეხება მინდვრის თაგვის წინააღმდეგ ბრძოლის უმთავრეს ქიმიურ მეთოდებს, იძლევა ცალკეული მეთოდების შეფასებას, აღნიშნავს ამა თუ იმ ქიმიური მეთოდის, შხამების დადებით და უარყოფით მხარეებს და მათი გამოყენების წესებს გარემო პირობებთან დაკავშირებით. მომხსენებელი სესიას აცნობს მის მიერ ჩატარებული ცდების შედეგებს თაგვის წინააღმდეგ ბრძოლისათვის სინთეზური კაუჩუკის ნარჩენის (დიქლორიდების) გამოყენების დარგში და აღნიშნავს, რომ დიქლორიდები შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ ეფექტურ და პერსპექტიულ შხამსალად, რომელსაც შეუძლია წარმატებით შესცვალოს ბევრი ანალოგიური მოქმედების ორთქლვაზისებრი ამჟამად საკმაოდ დეფიციტური პრეპარატები.

პროფესორ ს. ქარუმიძის მოხსენებამ დიდი ინტერესი და აზრთა გაცხოველებული გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია, რაშიაც მონაწილეობა მიიღეს პროფესორმა ლ. კალანდაძემ, ვ. ჯანჯალაშვილმა (საქართველოს სსრ მიწსახკომი), პროფესორმა ი. ბათიაშვილმა, გ. ბილანიშვილმა (საქართველოს სსრ მიწსახკომი), პროფესორმა კობახიძემ, დოცენტმა ყანჩაველმა.

მომხსენებლის პროფესორ ს. ქარუმიძის საპასუხო სიტყვის შემდეგ სესიის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა ნ. კეცხოველმა შეაჯამა კამათი და დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი შემდგომი მუშაობისათვის. მან აღნიშნა, რომ ამჟამად არსებული კავშირი სამეცნიერო დაწესებულებებსა და ოპერატიულ მუშაკთა შორის არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ტემპი კიდევ საგრძნობლად ჩამორჩება ცხოვრების მოთხოვნილებებს. დიდი ნაკლოვანებები არსებობს მავნებელთა, კერძოდ, მინდვრის თაგვის წინააღმდეგ ადგილებზე ბრძოლის ორგანიზაციის საქმეში. ბრძოლის დასახული მეთოდები სისტემატურად და სათანადო ხარისხით არ ხორციელდება. აუცილებელია ამ დარგში მთელი არსებული გამოცდილების გათვალისწინება და შეჯამება. ყველა ინსტიტუტში დაგროვილი სამეცნიერო-კვლევითი მასალა, ოპერატიული ბრძოლის გამოცდილების შედეგები უნდა დამუშავდეს, შეჯამდეს, გამოყენებულ იქნას უფრო მეტი გაბედულებით, ფართო მასშტაბით, რათა შესრულებულ იქნას პარტიისა და ხელისუფლების მეტად საპასუხისმგებლო დავალება სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მავნებლების მოსპობის საქმეში.

მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ლ. წერეთლის მოხსენება სესიაზე შეეხებოდა დიქლორიდების (სინთეზური კაუჩუკის წარმოების ნარჩენი) და ნავთობის პროდუქტების, როგორც პურეულის თესლის დეზინფექტორების, გამოყენებას.

მომხსენებელი შეეხო დეფიციტური პრეპარატების შეცვლის საკითხს. მან აღნიშნა, რომ მის მიერ მცენარეთა დაცვის ინსტიტუტში ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად გამორკვეულია გუდაფშუტას საწინააღმდეგოდ პურისა და ქერის თესლის შესაწამლავი ნავთობის სულფომჟავების „კონტაქტის“ გამოყენების შესაძლებლობა ფორმალინის ნაცვლად.

მომხსენებელმა დაასახელა აგრეთვე დიქლორიდები როგორც პერსპექტიული დეზინფექტორი პურეულის სათესლე მასალისა.

შემდეგ მოხსენებით თემაზე — „სიმინდის დიპლოდიოზი საქართველოში“ გამოვიდა მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ი. შოშიაშვილი.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ დიპლოდიოზი ანუ სიმინდის თეთრი ობი საკმაოდ გავრცელებული ავადმყოფობაა, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში. მომხსენებელი ჩატარებულ ხანგრძლივ ცდათა და დაკვირვებათა შედეგად დაწვრილებით განიხილავს ამ ავადმყოფობის განვითარების ხელშემწყობ და შემაფერხებელ პირობებს, რის საფუძველზეც სახავს მის საწინააღმდეგო ეფექტურ ღონისძიებათა სისტემას.

ლ. წერეთლისა და ი. შოშიაშვილის მოხსენებათა გარშემო აზრი გამოსთქვეს პროფესორმა პ. ქომეთიანმა, დოცენტმა ე. ხაზარაძემ, პროფესორმა ს. ქარუმიძემ, დოცენტმა ერისთავმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ნ. კეცხოველმა და სხვ.

შემაჯამებელ სიტყვაში ნ. კეცხოველმა აღნიშნა, რომ სესიის მუშაობა დამაკმაყოფილებელი იყო, განსაკუთრებით როგორც არსებული მასალების შეჯამება და გამოყენება შემდგომი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის. წარმოდგენილი მოხსენებებიდან ისახება მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებსაც უკვე ამჟამად გარკვეული პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ.

ცნობა

აბანოს ორდენი

ამ დღეებში საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი დაჯილდოებულ იქნა ინგლისის უმაღლესი ჯილდოთი—აბანოს ორდენით. ამასთან დაკავშირებით რედაქციაში შემოდის შეკითხვები აბანოს ორდენისა და მისი სახელწოდების წარმოშობის შესახებ.

აბანოს ორდენი ბრიტანეთის ერთ-ერთი უძველესი რაინდული ორდენია. ფიქრობენ, რომ ძველ ფრანკებსა და საქსებს, რომლებიც დასავლეთ ევროპაში ცხოვრობდნენ, ჰქონდათ ასეთივე ორდენი, რომელსაც ისინი მეტად აფასებდნენ. საშუალო საუკუნეებში ეს ორდენი ინგლისშიც შემოიღეს.

ორდენის სახელწოდება წარმოიშვა იმ ჩვეულებისაგან, რომლის მიხედვით ადამიანი, რომელსაც პატივი სცეს და აირჩიეს ამ ორდენის კავალრად, რაინდად კურთხევის წინ ვალდებულია გაიბანოს თავისი ზრახვების და ფიქრების სიწმინდის დასადასტურებლად, იმის დასადასტურებლად, რომ იგი მზად არის გადალახოს ყოველი საფრთხე და სიძნელე კეთილშობილური მიზნების მისაღწევად, რომ ის ყოველთვის დაიცავს ერთგულებისა და ღირსების წესებს.

ამბობენ, რომ ვილჰელმ I დამპყრობელი (რომელიც მეფობდა 1066-დან 1087 წლამდე) თავის მომხრეებს აჯილდოებდა ამ ორდენით როგორც ნორმანდიაში, ისე ინგლისში. შემდეგში, 1399 წელს, მეფე ჰენრიხ IV-მ თავისი მეფედ კურთხევის დროს დააარსა აბანოს ორდენი, როგორც ნაციონალური ჯილდო მამაცობისა და წარჩინებული სამსახურისათვის.

ორდენი არსებობდა XVII საუკუნის დასასრულამდე, როდესაც მან რამდენადმე დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა, ხოლო 1725 წელს იგი კვლავ აღადგინა მეფე გეორგ I-მა.

სამხედრო ორდენი იმ სახით, როგორც იგი ახლა არსებობს ბრიტანეთში, თავისი სამი ხარისხით, დაარსდა 1815 წელს ნაპოლეონთან ომების წარმატებით დამთავრების აღსანიშნავად. ამავე დროს აღდგენილ იქნა ჩვეულება ორდენის საპატიო წევრად, ბრიტანელ წევრთა დადგენილი რაოდენობის გარდა, არჩეულ იქნან სხვა ქვეყნების მოქალაქეებიც.

რუსეთი, რომელიც მაშინაც ბრიტანეთის მხარდამხარ იბრძოდა ნაპოლეონის ტირანიის წინააღმდეგ, ერთ-ერთი პირველთაგანი იყო იმ ქვეყნებიდან, რომლის სარდლებმა მიიღეს აბანოს ორდენის საპატიო რაინდთა წოდება. გენერალმა ბარკლაი-დე-ტოლიმ, ვორონცოვმა და თავადმა ვოლკონსკიმ მიიღეს I ხარისხის ორდენები, გენერალმა პოცო დი-ბორგომ — II ხარისხის, ხოლო გენერალ-მაიორმა ბროზინმა—III ხარისხისა.

აბანოს I ხარისხის ორდენს—დიდ რაინდულ ჯვარს შეიძლება ჰყავდეს არა უმეტეს 86 წევრისა, აქედან შეიძლება იყოს მხოლოდ 29 სამოქალაქო პირი. II ხარისხის—რაინდ კომანდორთა ორდენს ამჟამად ჰყავს 273 წევრი, რომელთაგან 161 სამხედრო პირია და 112 სამოქალაქო.

იმ პირთ, რომლებიც დაჯილდოებული არიან III ხარისხის ორდენით, რაინდებს არ უწოდებენ და ისინი არ ატარებენ სახელწოდებას „სერ“, მაგრამ თავიანთი გვარის შემდეგ სწერენ ასოებს „С. В.“, რაც ნიშნავს „აბანოს ორდენის კავალერი“. ასეთი ორდენით დაჯილდოებულია 1000-მდე კაცი, მეტწილად სამხედრო პირი.

აბანოს I ხარისხის ორდენი მიღებული აქვს ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა არმიების სარდალს ფელდმარშალ ალექსანდერს, ახალი ზელანდიის დივიზიის მეთაურს გენერალ ფრეიბერგს, რომელიც მე-8 არმიასთან ერთად აფრიკაში იბრძოდა, საიმპერიო გენერალური შტაბის უფროსს ფელდმარშალ სერ ალან ბრუკს და სხვ.

ამხ. გრომიკოს განცხადება

სან-ფრანცისკო, 12 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). გაერთიანებული ერების სან-ფრანცისკოს კონფერენციის საბჭოთა კავშირის დელეგაციის თავმჯდომარემ გრომიკომ 12 ივნისს სპეციალური განცხადება გააკეთა პრესისათვის, რომელშიც ნათქვამია:

„ამას წინათ ამერიკის პრესის ერთმა ნაწილმა და რადიომ გამოაქვეყნეს ეგრეთწოდებული განცხადება „საბჭოთა კავშირის წარმომადგენლისა“, რაც ვითომდა გადაეცა იუნაიტედ პრესის სააგენტოს და ეხება კომუნიკეს, რომელიც ოთხმა მომწვევმა სახელმწიფომ და საფრანგეთმა 7 ივნისს გამოსცეს უშიშროების საბჭოში ხმის მიცემის პროცედურის შესახებ. ეს „განცხადება“, რომელიც იუნაიტედ პრესის სააგენტომ გაავრცელა, ცდილობს გამოხატოს საბჭოთა კავშირის დელეგაციის დამოკიდებულება ოთხი მომწვევი სახელმწიფოსა და საფრანგეთის მიერ ხმის მიცემის ფორმულის განხილვის შედეგებისადმი. „განცხადება“ გამოქვეყნებულ იქნა გაზეთ „სან-ფრანცისკო ქრონიკლში“ და ზოგიერთ სხვა გაზეთში, აგრეთვე ციტირებულ იქნა სახელმწიფო მდივნის თანაშემწის ბ-ნ მაკლიშის მიერ მის გამოსვლაში, რადიოთი შაბათს 9 ივნისს.

მე მსურს განვაცხადო, რომ საბჭოთა კავშირის დელეგაციას ასეთი განცხადება არ გაუკეთებია. ამასთან დაკავშირებით საჭიროა ეცნობოს საზოგადოებრივ აზრს, რომ ეგრეთწოდებული „განცხადება“ ფიქციაა და რომ დელეგაციას არ შეუძლია პასუხისმგებელი იყოს ამ „განცხადებისათვის“.

გაერთიანებულ ერთა სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე

სან-ფრანცისკო, 12 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). ავტორიტეტული ამერიკული წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ ხუთი სახელმწიფოს წარმომადგენელთა სხდომაზე, რომელიც გვიან საღამოს შედგა, ყველა დელეგაციას რჩევა მიეცა რაც შეიძლება მალე აცნობონ წესდების ტექსტი თავიანთ მთავრობებს მოსაწონებლად.

სან-ფრანცისკო, 13 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). კომიტეტმა, რომელიც მუშაობს გენერალური ასამბლეის პოლიტიკური ფუნქციებისა და უშიშროების ფუნქციების საკითხებზე, დღეს უშიშროების საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების პროექტიდან გამორიცხა დებულება იმის შესახებ, რომ ასამბლეას მიენიჭოს რწმუნება „მოიწონოს ან არ მოიწონოს“ უშიშროების საბჭოს ყოველდღიური და სპეციალური ანგარიშები. ამრიგად, კომიტეტმა გააუქმა 31 მაისს მიღებული თავისი გადაწყვეტილება. კომიტეტის დღევანდელი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მას შემდეგ, რაც აღმასრულებელმა და ხელმძღვანელმა კომიტეტებმა ეს საკითხი კომიტეტს დაუბრუნეს გადასასინჯავად და ამასთან მიუთითეს, რომ კომიტეტის პირვანდელი პროექტი ნიშნავს ასამბლეის უზენაესობას საბჭოსადმი.

კომიტეტის თავმჯდომარემ ბოლივიის დელეგატმა ანდრადემ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ წინადადება კომიტეტის 31 მაისის გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ შეტანილი იყო საბჭოთა კავშირის მიერ.

სან-ფრანცისკო, 13 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). მრავალი დღის განმავლობაში განხილვის შემდეგ № 3 კომისიის № 1 კომიტეტმა ხმის დიდი უმრავლესობით მოიწონა უშიშროების საბჭოში ხმის მიცემის პროცედურის ყირიმის ფორმულა (დუმბარტონ-ოქსის წინადადებათა VI თავის „C“ კარი). კომიტეტმა ფორმულის სამ პარაგრაფს ცალცალკე უყარა კენჭი და 30 ხმით 2-ის წინააღმდეგ, 15-მა თავი შეიკავა, მოიწონა უმნიშვნელოვანესი № 3 პარაგრაფი, რომელიც ითვალისწინებს დიდი სახელმწიფოების ერთსულოვნების პრინციპს. ზოგიერთმა დელეგაციამ, რომლებმაც თავი შეიკავეს, განაცხადა, რომ პრინციპულად ისინი წინააღმდეგნი არიან ეგრეთწოდებული „ვეტოს უფლებისა“, მაგრამ არ სურთ საკითხის გადაჭრის შემდგომი გაჭიანურება.

კომიტეტმა მოიწონა პირველი პარაგრაფი (რომელიც ითვალისწინებს, რომ უშიშროების საბჭოს თვითეულ წევრს აქვს ერთი ხმა) ერთხმად, ხოლო რამდენიმემ თავი შეიკავა. 30 ხმით ერთის (კუბის დელეგაციის) წინააღმდეგ კომიტეტმა მოიწონა № 2 პარაგრაფი, რომელიც ითვალისწინებს, რომ საბჭოს გადაწყვეტილებებს იღებენ საბჭოს შვიდი წევრის ხმებით.

კომიტეტის გადაწყვეტილება მოხდა მას შემდეგ, რაც უარყოფილ იქნა ავსტრალიის შესწორება, რომელიც ეხებოდა უშიშროების საბჭოში ხუთი დიდი სახელმწიფოს დელეგატების ხმის მიცემას დავათა მშვიდობიანად მოგვარების საკითხებზე.

სადილი გაერთიანებული ერების კონფერენციის დელეგატთა პატივსაცემად

სან-ფრანცისკო, 14 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ გაერთიანებულ ერთა კონფერენციაში მონაწილე ბელორუსიის დელეგაციის თავმჯდომარემ ამხ. კისელიოვმა სადილი გამართა კონფერენციის დელეგატებისათვის. დაესწრნენ ამხანაგები გრომიკო, მანუილსკი, ლავრენტიევი, ინგლისის დელეგატი ბატლერი, სამხრეთ აფრიკის კავშირის პრემიერ-მინისტრი სმეტსი, ჩინეთის დელეგატი ველინგტონ კუ, ჩეხოსლოვაკიის დელეგატი მასარიკი, საბერძნეთის დელეგატი სოფიანოპულოსი, ირანის დელეგატი მოსტაფა ადლი, მექსიკის დელეგატი პადილია, თურქეთის დელეგატი ჰასან საკა, ვენესუელის წარმომადგენელი პერესი, იუგოსლავიის წარმომადგენლები სიმიჩი, კრამოვეცი და დედიერი, საფრანგეთის წარმომადგენელი დეჟანი და სხვები.

სადილზე გენერალმა სმეტსმა წარმოსთქვა მარშალ სტალინის სადღეგრძელო. წარმოთქმულ იქნა აგრეთვე ტრუმენის, ჩერჩილისა და ამხანაგების მანუილსკის, კისელიოვის და გრომიკოს სადღეგრძელოები.

გერმანიის საბჭოთა საოკუპაციო ზონიდან ამერიკის ჯარების ნაწილობრივ გაყვანის შესახებ

ბერლინი, 13 ივნისი. (საკდესი). 13 ივნისს დილიდან ამერიკის საექსპედიციო ძალების სარდლობა შეუდგა ამერიკის ჯარების გაყვანას ქალაქ ხემნიცის რაიონიდან, იმ ხაზის დასავლეთით, სადაც ისინი წითელი არმიის ჯარების პირისპირ იდგნენ. გაყვანა მოხდა 50 კილომეტრის ფრონტით და 10-დან 20 კილომეტრამდე სიღრმეზე.

ჩვენი ჯარები, რომლებიც ამერიკის ჯარების კვალდაკვალ მიიწევდნენ წინ, გავიდნენ მდინარე მულდეს აღმოსავლეთ ნაპირზე ქალაქ ცვიკაუმდე და უფრო სამხრეთით შევიდნენ ქალაქებში კირშბერგსა და შტიუტცენგრიუნში.

სხვა უბნებზე მოკავშირეებს ჯერ კიდევ არ დაუწყიათ თავიანთი ჯარების გაყვანა იმ ზონიდან, რომლის ოკუპაციაც საბჭოთა ჯარებმა უნდა მოახდინონ.

ბონომის ახალი განცხადება გადადგომის შესახებ

რომი, 13 ივნისი. (საკდესი). როგორც რომის რადიო გადმოგვცემს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ივანოე ბონომი, რომელმაც გასულ პარასკევს წარადგინა თხოვნა გადადგომის შესახებ და დათანხმდა რამდენიმე დღით გადადოს გადადგომა, კვლავ დაუბრუნდა თავის წინადადებას. გუშინ საღამოს იგი მიიღო იტალიის მმართველმა, რომელსაც მან გადასცა მთავრობის გადადგომა. იტალიის მმართველმა თავი შეიკავა რაიმე გადაწყვეტილების მიღებისაგან. მთავრობა განაგრძობს მუშაობას.

ფრანგი ჯარისკაცების ინტერნირება დეირ-ეზ-ზორში

პარიზი, 12 ივნისი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს ცნობით, დეირ-ეზ-ზორში (სირია) ინგლისის ხელისუფალთა მიერ ინტერნირებულია ფრანგ ჯარისკაცთა ერთგვარი რაოდენობა.

15 ივნისს, საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სალექციო დარბაზში შედგება უმაღლესი სკოლების საქმეთა საკავშირო კომიტეტის ლექტორის პროფესორ **ნ. შჩერბინოვსკის** ლექცია თემაზე: **„თანამედროვე ინდოეთი“** (პირადი შთაბეჭდილებების მიხედვით).

ლექციის გეგმა:

1. ინდოეთის კონტრასტული ბუნების დამახასიათებელი თავისებურებანი (ჰავა, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო);
2. ინდოეთის მრავალეროვან ხალხთა ოჯახი (რელიგია, კასტები, ყოფაცხოვრება);
3. ინდოეთის ისტორიული წარსული და თანამედროვე მდგომარეობა (ძველი კულტურა მაჰარაჯების სასახლეები, კერპთა ტაძრები, სახელმწიფო წყობილება);
4. დიდქალაქ დელში, კალკუტაში, ბომბეიში, „სამღვთო“ ბენარესში, ინდოელების სოფლებში, ინდისა და განგის ხეობებში (ბაზრები, რელიგიური პროცესიები, ფაკირები, ცოლების თვითდაწვა და სხვა).
5. თანამედროვე ინდოეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება (პოლიტიკური დაჯგუფებანი და პარტიები, ინდოეთის ნაციონალური მოძრაობის ბელადები).

ბილეთები იყიდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წიგნის მაღაზიაში (რუსთაველის პროსპექტი № 23), ლექციის დაწყების წინ კი — სალაროში სალექციო დარბაზის შესასვლელთან. ფასი 5 მანეთი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სალექციო ბიურო

ლექცია

15 ივნისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში შედგება ამხ. **სულეიმანის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“.**

ბილეთების შეძენა შეიძლება საქალაქო პარტკაბინეტის ბიბლიოთეკაში და რაიკომების პარტკაბინეტებში.

თეატრებში

სახელმწიფო ოპერა—15/VI—„ჯამბაზები“ და „ყვავილთა ბანაკი“. 16/VI—„დაისი“. **რუსთაველის სახელობის**—15/VI—„ოტელო“, 16/VI—„ერთი ღამის კომედია“. **მარჯანიშვილის სახელობის**—15/VI—„უმზითვო“, 16/VI—„მარგარიტა გოტიე“. **გრიბოედოვის სახელობის** — 15/VI—„სახიფათო ასაკი“, 16/VI—„ტყე“. **ხან-კულტურის** — 16/VI — „უნიადაგონი“.

კინოებში

15 ივნისს: რუსთაველის სახელობის—„ქოშები“. **ოქტომბერი**—„ჩვენ კრონშტადტიდან ვართ“. **დამკვრელი** (საზაფხულო) — „განთავისუფლებული საფრანგეთი“, (ზამთრის)—„მუსიკალური ისტორია“. **კომკავშირელი**—(საზაფხულო და ზამთრის)—„ქოშები“. **სპარტაკი** — „მხიარული ახალგაზრდობა“. **ლუქსემბურგის სახელობის**—„კაცი № 217“. **26 კომისრის სახელობის**—„ვოისონი“. **მეცნიერება და ცოდნა** —„პირველი მაისი მოსკოვში“.

უკრაინის მეოთხე ფრონტი. ნ ნაწილის ბანაკში დასვენების დროს.

ფოტო მ. ალპერტისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

სსრ კავშირის XIV საჭადრაკო ჩემპიონატი

13 ივნისს გათამაშდა მერვე ტური. ბოტვინიკი ეთამაშებოდა დამსახურებულ მაესტრო რომანოვსკის. 38-ე სვლაზე რომანოვსკი იძულებული გახდა თავი დამარცხებულად ეცნო.

გროსმაისტერ კოტოვისა და რატნერის პარტია გადაიდო.

მაესტრო ბოლესლავსკი შეხვდა რუდაკოვსკის. მწვავე ბრძოლის შემდეგ პარტია გადაიდო.

გადაიდო აგრეთვე გროსმაისტერების ლილიენტალისა და ბონდარევსკის, მაესტრო ბრონშტეინისა და გოლდბერგის, რაგოზინისა და ტოლუშის პარტიები.

ალატორცევ-კანისა და ჩეხოვერ-კოსტანტინოპოლსკის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

რვა ტურის შემდეგ პირველ ადგილზე გროსმაისტერი ბოტვინიკი, რომელსაც 6 ქულა აქვს შვიდში, და გროსმაისტერი კოტოვი, რომელსაც 5,5 ქულა აქვს შვიდში და ერთი გადადებული პარტია. (საკდესი).

ირაკლი აბაშიძის შემოქმედების საღამო

ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში შედგა პოეტ ირაკლი აბაშიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო. მოხსენება ი. აბაშიძის შემოქმედების შესახებ წაიკითხა გ. ნატროშვილმა. სიტყვებით გამოვიდნენ: ინსტიტუტის დირექტორი დოცენტი ბ. იაკობაშვილი და დოცენტი მ. ასათიანი. ი. აბაშიძისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები წაიკითხეს სტუდენტებმა ლორთქიფანიძემ და კაპანაძემ. ი. აბაშიძის ლექსები—სკოლამდელმა ბავშვებმა ც. ციციშვილმა, ზ. იაშვილმა და სტუდენტმა რაფავამ.

პოეტებმა ალ. აბაშელმა, ი. მოსაშვილმა, კ. ლორთქიფანიძემ, გ. აბაშიძემ, რ. მარგიანმა, ი. ნონეშვილმა წაიკითხეს საკუთარი ლექსები.

დასასრულ გაიმართა კონცერტი კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობების კ. კვანტალიანისა და შ. გომელაურის, აგრეთვე ინსტიტუტის ძალების მონაწილეობით.

კალე ბობოხიძის საღამო

15 ივნისს, თბილისის ინდუსტრიული ინსტიტუტის კლუბში ეწყობა პოეტ კალე ბობოხიძის შემოქმედების საღამო. მოხსენებას კ. ბობოხიძის შემოქმედებაზე გააკეთებს სტუდენტი ზ. ბაბუნაშვილი.

შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

აზერბაიჯანის სსრ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი თბილისში

საქართველოს ფილარმონიის მოწვევით დღეს თბილისში ჩამოდის აზერბაიჯანის სსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გილმან სალახოვი. მოცეკვავეთა ჯგუფს ხელმძღვანელობს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. აბდულაევი. ინსტრუმენტალური ჯგუფის ხელმძღვანელია რაშიდ ეფენდიევი.

ანსამბლი თბილისში ჩაატარებს 8 კონცერტს. პირველი კონცერტები შედგება 16 და 17 ივნისს ფილარმონიის დიდ დარბაზში, მესამე კონცერტი გაიმართება ორშაბათს 18 ივნისს ფილარმონიის საზაფხულო თეატრში. შემდეგ კონცერტები მოეწყობა წითელი არმიის სახლში, სომხურ თეატრში და აზერბაიჯანულ თეატრში.

დასკვნითი კონცერტი გაიმართება ორშაბათს 25 ივნისს ფილარმონიის საზაფხულო თეატრში.

აზერბაიჯანის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი მონაწილეობას იღებდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადაზე გასული წლის დეკემბერში და დიდი წარმატებით გამოდიოდა.

„ერთი ღამის კომედია“ ახალი შემადგენლობით

შაბათს, 16 ივნისს, რუსთაველის სახელობის თეატრი ახალი შემადგენლობით უჩვენებს კ. კალაძის პიესას „ერთი ღამის კომედიას“.

სპექტაკლში როლებს ასრულებენ: დათუნა—დ. ხუციშვილი, სულიკო—თ. ბაქრაძე, ელისაბედი— ქილარჯიშვილი, ბაადური—ბ. წულაძე, ჩიტოლია—თ. თარხნიშვილი, ბუხუტი ახვლედიანი—შ. კიკნაძე, ჟუჟუნა—თ. ბოლქვაძე, ჩიტირეკია—უ. სამხარაძე, ლიპარიტი—გ. ასიტაშვილი, ია—ე. ვაჩნაძე, ნათელა—ბ. ნიკოლაიშვილი.

მუშაობა დაიწყო სურამის პიონერთა ბანაკმა

სურამში გაიხსნა სანატორიუმის ტიპის პიონერთა რესპუბლიკური ბანაკი 100 ბავშვისათვის. აქ პირველნი ჩამოვიდნენ წარჩინებულ მუშათა შვილები ორჯონიკიძიდან, ქუთაისიდან, სამტრედიიდან.

ვ. რუხია

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობაზე

13 ივნისს მოსკოვსა და ლენინგრადში ჩატარდა მორიგი კალენდარული მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში („ა“ ჯგუფი).

მოსკოვში „სტალინეცის“ სტადიონზე ჩატარებული შეხვედრა დედაქალაქის გუნდებს — „ტორპედოსა“ და „კრილია სოვეტოვს“ შორის დამთავრდა პირველის გამარჯვებით ანგარიშით 1 : 0.

ლენინგრადში „ზენიტის“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდმა მოუგო კიევის „დინამოს“ ანგარიშით 2 : 0.

* * *

14 ივნისს მოსკოვში შედგა სეზონის ერთ-ერთი საინტერესო შეხვედრა წითელი არმიის ცენტრალური სახლისა და ექსჩემპიონ „სპარტაკის“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებს შორის. თამაში დამთავრდა წითელარმიელ ფეხბურთელთა დიდი გამარჯვებით — 5 : 1.

იშვიათი შემთხვევა

ცხაკაია („კომუნისტის“ საკ. კორ.). სოფელ ნოსირის, სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს მარიამ მიხეილის-ასულ კვაშილავას შეეძინა სამი ბავშვი, ორი ვაჟი და ერთი ქალი. ბავშვები სრულიად ჯანსაღნი არიან. დედა კარგად გრძნობს თავს.

ს. კუჭავა

გასწორება

„კომუნისტის“ 13 ივნისის ნომერში დაბეჭდილია აღწერილობა მედლისა „ვარშავის განთავისუფლებისათვის“. ამ აღწერილობის მესამე აბზაცი უნდა იკითხებოდეს:

„მედლის მეორე მხარეზე არის ვარშავის განთავისუფლების თარიღი: „1944 წლის 17 ნოემბერი“. თარიღის თავზე ხუთქიმიანი ვარსკვლავი“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი

აცხადებს, რომ ა. წ. 27 ივნისს დღის 2 საათზე, მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8, II სართული) შედგება მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომა, რომელზეც სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავს **შალვა მიხეილის-ძე ხუპატაშვილი** თემაზე: „მასალები ოქროკუდას— Nygmia phaeorrhoea შესწავლისათვის საქართველოში“. ოფიციალური ოპონენტები: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ლ. კ. კალანდაძე** და **ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ი. დ. ბათიაშვილი.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

ინსტიტუტის დირექტორი დოც. ლ. ყანჩაველი

ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

აცხადებს, რომ ა. წ. 26 ივნისს, 12 საათზე, № 277 აუდიტორიაში შედგება სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომა, რომელზეც დისერტაციას დაიცავენ:

1. **ნ. მ. ბეურქოვა** ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„საქართველოს მანდარინის ეთერ-ზეთი“.**

ოფიციალური ოპონენტები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **პ. ა. ქომეთიანი,** ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **გ. გ. ქიქოძე.**

2. **ვ. თ. ბოზია** ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„ჩაის პექტინური ნივთიერებანი“.**

ოფიციალური ოპონენტები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **პ. ა. ქომეთიანი,** ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **ხ. ვ. დურმიშიძე,** ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **ქ. პ. კიზირია.**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (მარის ქ. № 33) დღის 9-დან 5 საათამდე.

მოქალაქე **მარო გეურქის-ასულმა მაჩკალოვამ,** მცხოვრებმა ჩეხოვის ქ. № 27, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **მიხეილ ნიკოლოზის-ძე ბოქოლიშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება თბილისის 26 კომისრის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლოში.

მამა დარისპანი, მეუღლე ნინო, შვილი რევაზ, რძალი ნინო, შვილიშვილი ხათუნა, ძმები ვარლამ, ბუთული, და ლიდა მარგიანები იუწყებიან, რომ 17/VI, 6 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია აკაკი მარგიანის პანაშვიდი.

საქსოფლმომარაგების რესპუბლიკური კანტორის თანამშრომლები იუწყებიან ბ. გეგეჭკორის მამის, **სერაფიონ კონსტანტინეს-ძე გეგეჭკორის** გარდაცვალებას.

თ. კვარაცხელია, თ. რევია, ქ. ფარსადანიშვილი იუწყებიან **ნაზიბროლა ფიჩხაძე-იოსებაშვილის** გარდაცვალებას.

შურა, ვარლამ და ლეო ქაჯაიები იუწყებიან მამის და ბაბუის **სოლომონ დავითის-ძე მიქაიას** გარდაცვალებას.

დედა ვარდო, ილია და ლოლა კარტოზიები შვილებით შოთათი და ცისანათი იუწყებიან ქეთევან ვლადიმერის-ასულ მელიას გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოს—3-06 88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და პარტიული პროპაგანდის—3-81-84, კომკავშირული ცხოვრებისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, სამხედრო, ლიტერატურისა—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91,800 უე 07280